ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ გერმანული თარგმანი, რაინერ კირშის მიერ შესრულებული (პირველი პუბლიკაცია: „ზინ უნდ ფორმ“, 1970, 6), თარგმნილია რითმიანი ლექსით (გარიტმულია კენტი სტრიქონები, როგორც დედანში), რომელსაც ალაგ-ალაგ ენაცვლება ურითმო ლექსით შესრულებული სტრიქონები (ისინი შეწვევით არის დაბეჭდილი).

შეიძლება ითქვას, რომ ეს თარგმანი ჩინებული გერმანული ეკვივალენტია ქართული პოემისა.

ვნახოთ ქართველი მკითხველისთვის კარგად ნაცნობი, ჩვენში ერთობ პოპულარული ზოგიერთი ადგილი პოემიდან და შევადაროთ თარგმანს:

„ცუდას რად უნდა მტერობა, / კარგია მუდამ მტრიანი“;
 „Wer befeindet den Schlechten? / Der Gute hat immer Feinde“;

„ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ“;
 „Mach mir nicht meine Gabe leicht“.

ან ეს მეტაფორა:

„მუხლებ არ მამდევს, გულშია / ბნელი ჩამიდგა სვეტადა“;
 „Schon das Knie versagt mir, **im Herzen / Finsternis wie eine Säule steht**“.

აქ თარგმანში დედნისეული ანუამბემანიც კი გადასულა!
ზოგჯერ დედნისეული იდიომის სიტყვასიტყვით თარგმნა ვერ ხერხდება, მაგრამ აზრი ზუსტად გადაიტანება სხვაგვარი მხატვრული სახის მეშვეობით:

„ტყუილად სცდები, ალუდავ, / ტყუილად იცვეთ პირსაო“;
„Umsonst, Aluda, ist dein Wort, / Gleich dem Wind nur ist sein Geräusch“
(„ამაოა, ალუდა, შენი სიტყვა, ქარის მსგავსია მისი ხმაური“).

ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ „მით ვაქებ ვაჟკაცობასა, / არ იყიდება ფულადა“ თარგმანში აღარ აღიქმება აფორიზმად, ვინაიდან ძალიან მჭიდროდ უკავშირდება მუცალს ნაცვალსახელის მეშვეობით: „Um so mehr lob ich **dessen** Mut / Nicht für Geld kauft man solch ein Herz“ („მით უფრო ვაქებ **მის** სიმამაცეს, ასეთ გულს ფულით ვერ იყიდი“. აქ სხვა უზუსტობებიც შეინიშნება).

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მითოლოგიური მოტივების შემცველ პასაჟთა თარგმანის ხარისხს. ქართული მითოლოგიური ტერმინოლოგია უმეტესად წარმატებით არის „გაგერმანულებული“ (მაგალითად, „სამხვეწრო“ — „Bittgebet“), ზოგიერთ ცნებას კი დაზუსტება მოუხდებოდა.

RŪTA BRŪZGIENĖ

Lithuania, Vilnius

Mykolas Romeris University

Rhetoric of “Caucasian Legends” by Lithuanian Writer Antanas Vienuolis

The paper will analyze the collection of novels “Caucasian Legends” (1908-1910) written by Lithuanian writer, Antanas Vienuolis (1882-1957). In the beginning of the 20th century the author lived in Caucasus the culture of which left an indelible impression and became the source of inspiration to write the legends on the basis of Caucasian legends or motifs. The paper discusses the peculiarity of semantics and rhetoric of legends, analyzes the transformations of myth poetics and structural features, overviews the expression of national folklore emotional attitude and stylistic features. The structure of legends is analyzed also from the position of the musicality of form. The paper also emphasizes the position of “Caucasian legends” in the perspective of Lithuanian literature of myth and Caucasian motifs interpretation. The study refers to the works of Vytautas Kubilius, Silvestras Gaižiūnas, Regina Koženiauskienė, Donatas Sauka, Vladimir Propp, Algirdas Julius Greimas, Werner Wolf and others. Comparative and other methodologies are used.

РУТА БРУЗГЕНЕ

Литва, Вильнюс

Университет им. Миколаса Ромериса

**Риторика «Кавказских легенд» литовского писателя
Антанаса Ветуолиса**

В докладе анализируется сборник литовского писателя Антанаса Ветуолиса (1882-1957) «Кавказские легенды» (1908-1910). Писатель в начале XX в. жил на Кавказе, культура которого произвела на него неизгладимое впечатление и вдохновила на написание цикла по мотивам легенд и мифов Кавказа. В докладе обсуждается самобытность семантики и риторики легенд, анализируются трансформации поэтики и структурных особенностей мифа, рассматривается проявление национального фольклорного мироощущения и стилистических черт. Структура легенд анализируется также с позиции музыкальности формы. В работе определяется место «Кавказских легенд» как в перспективе литовской интерпретации мифа, легенды, так и в перспективе литературы по мотивам Кавказа. Автор исследования опирается на работы Витаутаса Кубилюса, Сильвестраса Гайжюнаса, Регины Коженяускене, Донатаса Сауки, Владимира Проппа, Альгирдаса Юлюса Греймаса, Вернера Вольфа и др., пользуется сравнительной и другими методологиями.

GASTON BUACHIDZE

France, Nanti

**Mindialization
Or Sweat Greeting of the Green**

Luka Razikashvili chooses Vazha-Pshavela as his nom de plume. The son of mountain-valley has his own perception of the universe. The verses created in different times led to the creation and release of a poem “Snake Eater”. What does the poem tell us one hundred and ten years later, what does Mindia offer us?

Let’s observe the nature, listen to its voices. “Mountains have bowed” as a form of greeting, they are eager “to grow flowers, / carry mist on their necks”.

Snake eater Mindia listens to the chatter of flowers. Chatter is just chatter, but the primary mission of flowers is to cure illnesses.

The peace between brothers is endangered but it is stable for mountains. Peace caresses brother-mountains.

Once Mindia “approached a tree with an axe in his hand / and said: “I must cut it!”/ Every time he hits the tree, / he hears groan of the tree: / “Do not kill me my Mindia”. Proceeding from this, astounded Mindia preaches: “Come on Men, do not commit a crime, sin / do not cut a tree.”

No one listens to Mindia and they consider his advice nonsense. However, Mindia’s perception of environmental protection proceeds the flourishing of the current Green movement. “Mindialization” provides us with clues before the establishment of mondialisation (globalization).

Like flowers, some animals cure us better than doctors. With their assistance “an ill person will recover immediately”.

The movement of colors is of dualistic nature: in other words, either nature offers us its own colors, or our mood colors the universe. Black can indicate threat or beauty. Fortunately, black used to be beautiful and alluring at the same time when it reflected woman’s eyes. Red takes its turn “we have seas of bloods”. Begging the God has green coloring. Confrontation between black and green equals a battle between life and death. Green portrays apotheosis of color.

Femininity smiles us from two flowers. However, a snake pricks its head between violet and rose.

Unfortunately, peace is established only after immense violence and opposition. The snake attacks a violet, or cruelty kindness, ugliness beauty.

Khevsurs are looking for Mindia while expecting an attack with the Kists. “There is a fuss in the village / there are loud cries: / let them know where a snake-eater Mindia is.” “Women and their children find shelter in castles” and protect themselves.

In spite of the commencement of war “there is life in mountain region, / all covered in green (...).” Women can be seen in the castles who are like mountain flowers. It seems as the confrontation between peace and war is solved between women and flowers.

The Khevsur Army ask Mindia for help. Mindia responds: “I cannot advice you anything, you Khevsurs, there is no use of me as an advisor any longer.” A snake-eater in solitude decides: “I should fight alone, / that’s why I am here now on the battle field.”

Mindia says only the following: “I can give no other advice, but let’s meet the Kists in the poisoned mountain region”. The army agrees “they are marching towards the place showed by Mindia.”

The horrible battle lasts for two days.

A fatal spectacle. “Five or six Khevsurs, / with smoky faces, / were carrying a tightened man”. They dropped him on a valley and “addressed with a complaint”: “why are you killing yourself, / are you searching for death? Why are you heading in the middle of the enemy’s army?”

There is no definite answer heard. When it got darker, the captive made his dream come true, he loosened both of his hands, got up fatigued and at that time he saw fire, a bad sign - losing a hope “he touched the sword with a thumb, and directed its top against his chest”.

Nature suffers. "Blood, rushed like a stream from his chest, the moon has shown as well and stared at the person who committed a suicide., with the color of a lazy woman".

The ending plays between two colors. "The wind was blowing / without sorrow, slowly / touches the top of the sword with a wing / colored by a worm color / with the juice from human chest and plays on the green, gaily and whistling".

Painful but lucky ending. Death is defeated by eternal life. The rest is comparative.

We should strive to reduce violence, give preference to peace over war and establish happiness everywhere. Let's open the fan of nature and give Mindia "sweat greeting of green".

ბასტონ ბუაჩიძე

საფრანგეთი, ნანტი

მინდიალიზაცია ანუ ტკბილი სალამი მწვანისა

1901 წელს გამოიცა ვაჟა-ფშაველას პოემა „გველის მჭამელი“. ას ათი წლის შემდეგ ეს წინასწარმეტყველური ტექსტი რას გვიხმობს ?

ყვავილთა ტიტინი დაავადებათა მკურნალია.

ხეს უნდა გაუფრთხილდე და არ მოსჭრა. ეს მონოდება წინ უსწრებს „მწვანეთა“ მოძრაობის გაფურჩქვნას. „მინდიალიზაცია“ (ანუ გლობალიზაციას) „მინდიალიზაცია“ უღებს კარს.

ომში მონაწილეობასა და მტრის მოსპობას მინდია თვითმკვლელობას ამჯობინებს.

სატკენი, მაგრამ ბედნიერი დასასრული: სიკვდილს მარადიული სიცოცხლე დასძლევს. დანარჩენი შედარებითია. ვეცადოთ ძალადობა შევკვეცოთ, ომს მშვიდობა ვამჯობინოთ და სიხარული ვთესოთ. ბუნების მარაო გავშალოთ და მინდიას ვარგუნოთ „ტკბილი სალამი მწვანისა“.

IA BURDULI
Georgia, Tbilisi
Georgian Technical University

**The Female Beginning and Chronotropic Archetype in the
Tragedy of Mindia and Siegfried
(The Snake Eater and the Misery of the Nibelungs)**

*We dream to travel in the Universe,
Isn't the Universe in us?*
Novalis

Legend: the story including the miracle features, the structure of the confession.

Fairy Tale: the resistance between the individual person and community, the tool of the artificial communication.

Tree: the archetypal symbol of the communication: the common Axis of the earth, sky and the underworld.

Cosmological Tree: the material for the female bed in the mythology of the Sumerians; The female beginning in the Scandinavian legends.

Tree guard: chronotron features and Arabos- two beginnings of the timeless earthly circle.

The symbol of the raised snake; the cross made from the tree of life.

The archetypal icons of the wooden cross, the symbol of the mother, cross road and the ruler dragon of the four elements.

The Scandinavian eddas; legends about Zigurd and Gudrun; the mystery of the fog-treasure and the mystery of Eucharist by the blood.

The meaning of the tree and the comparative aspects of Mindia's return to the first beginning.

Being, woman's being- the circle of the Universe.

The tragedy of the owner of foggy- treasure Siegfried and the natural secret Mindia.

Fairy tail: the artificial multilateral fiction, or the obstacle, expressed by the play.

ია ბურღული

საქართველო, თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქალური სანყისი და ქრონოტოპული არქეტიპი მინდიასა და ზიგფრიდის ტრაგიზმში (გველისმჭამელი და ნიბელუნგების გასაჭირი)

*„ჩვენ ვოცნებობთ სამყაროში მოგ ზაურობაზე,
განა სამყარო ჩვენში არ არის?“
ნოვალისი*

ლეგენდა: „თვითობის“ გამომხატველი, სასწაულებრივი ელემენტის შემცველი ბიოგრაფია და აღსარების სტრუქტურა.

ზღაპარი როგორც ინდივიდუალური და კოლექტივის შორის არსებული წინააღმდეგობა და ხატოვანი კომუნიკაციის საშუალება.

ხე – კომუნიკაციის არქეტიპული სიმბოლო: ქვესკნელის, ზეცისა და მიწის გამაერთიანებელი ლერძი.

კოსმიური ხე როგორც ქალის სარეცელის მასალა შუმერულ მითოლოგიაში. ქალური სანყისი და ცნობადი ხის ფუნქცია სკანდინავიურ თქმულებაში.

ხის მცველი – ხთონური არსებები და არაბოროსი – ორსანყისიანი მარადიული მინიერი წრე.

ამაღლებული გველის სიმბოლიკა და სიცოცხლის ხისგან ნაკვეთი ჯვარი.

ხის ჯვრის, გზაჯვარედინის, დედის სიმბოლიკის და ოთხი სტიქიის მფლობელი გველეშაპის არქეტიპული ხატები.

სკანდინავიური ედები, თქმულებები ზიგურდსა და გუდრუნზე, ნისლის განძის საიდუმლო და სისხლით ზიარების მისტერია.

ცნობადი ხის ფენომენისა და მინდიას პირველსანყისთან დაბრუნების შეპირისპირებითი ასპექტები.

ყოფა, ქალური ელემენტი – სამყაროს მარადიული წრე-ბრუნვა; ნისლის განძის მფლობელის – ზიგფრიდისა და ბუნების საიდუმლოსთან განდობილი მინდიას ტრაგიზმი.

ზღაპარი: მრავალფეროვანი ხატოვანი ფიქცია, თუ თამაშით გამოხატული წინააღმდეგობა.

RUSUDAN BURJANADZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

European Values from Caucasian Angle

Globalization and its accompanying process- illusion and reality; Increased migration as one of many characteristic trades of globalization, with its positive and negative consequences; Forced migration, or fate which hunts one down and behind this process there are individuals, and sometimes whole nations. (Javakhishvili, Gamsakhurdia, Robakidze).

Illusion and mythology as spiritual migration and form of self realization of human mind; Escape from reality and an attempt to reach the illusive world, to transfer one's life into mythology, where one's unrestricted fantasy and will walks on the verge of possibility and impossible, where one wrong or accidental move could equal to a catastrophe - Vivid example of this are fatal actions of characters in Georgian and European author's writings.

Creek mythology and Georgian fair tale; Where is drawn the line between human and divine passion?

"The god is dead", "conscious is that chimera, from whom I'm setting free humans" – and "set free" is a desperate step toward the bridge to the future and question: "homo homini lupus est" or "man is a bridge for another man"?

Voice of revived conscious and necessity to revitalize mythology in order to save humanity .

რუსუდან ბურჯანაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ევროპული ფასეულობები კავკასიურ ქრილში

გლობალიზაცია და მიგრაციული პროცესები, მითი და სინამდვილე. გლობალიზაციის პროცესზე დისკუსიის შედეგი იმდენად სუბიექტურია და, ხშირად, თვითმიზნური, რომ თავად ამ პროცესის არსებობა-არარსებობაც ეჭვქვეშდგება, რომ არა ამავე პროცესის ძირეული და გამოკვეთილი მახასიათებელი: მიგრაცია თავისი დადებითი და უარყოფითი ნიშნით. იძულებითი მიგრაცია, ან – ბედმდევარი, რომლის უკან დგანან ადამიანები, ერები და, იქნებ, მთელი კაცობრიობაც (ჯავახიშვილის, გამსახურდიას, ლორთქიფანიძის, რობაქიძისა და სხვათა და სხვათა ნაწარმოებების გმირთა ცხოვრება და, ხშირად, საბედისწერო აღსასრულიც, ამის დასტურია).

მითი, როგორც სულიერი მიგრაციისა და ადამიანური გონის თვით-რეალიზაციის ერთ-ერთი, თუ არა – ერთადერთი, ფორმა. სინამდვილიდან გაქცევისა და ილუზიურ სამყაროში თვითრეალიზაციის ცდა მითოსში გადასვლაა, იქ, სადაც შენი უსაზღვრო ფანტაზია და შენივე ვითნებელობა შესაძლებლისა და შეუძლებლის ზღვარზე დააბიჯებს და ერთი მოუქნელი მოძრაობა კატასტროფისტოლოფასია. მიუხედავად ამისა, იქ შენგარდა არავინ აწესებს ზღვრებს და, თუ ვინმე აწესებს, ისიც შენი ჯანმრთელი თუ ავადმყოფი გონის ნაწილია. ამდენად, ადვილად საგუებელი. ხარბედიების, ბისკაიების, თუთაშხიებისა თუ ევროპელ ავტორთა გმირების საბედისწერო ქმედებანი წინამდებარე დებულების თვალსაჩინო მაგალითია.

ბერძნული მითი და ქართული ზღაპარი. რის თუ არა და, თუ არის, სად გადის ზღვარი ლეგიურ და ადამიანურ ვნებათა შორის.

„ღმერთი მოკვდა, სინდისი არის ის ქიმერა, რომლისგანაც მე ვათავისუფლებ ადამიანებს“, აქედან – „გათავისუფლებულთა“ სასოწარკვეთილი ნაბიჯი მერმისისაკენ გასაღებ ხიდზე და კითხვა: „კაცი კაცისთვის მგელია“ თუ „კაცი კაცისთვის ხიდია?“ ხიდი, რომელზეც ფეხაკრეფით შემოაბიჯა, თუმცა ხმაურით დამკვიდრდა გარდასულ დღეთა მითოსური აჩრდილი;

რეანიმაციული სინდისის ხმა, როგორც მიტოსის ალორძინების აუცილებლობა პიროვნების, ერის, კაცობრიობის გადასარჩენად.

MAMUKA CHANTURAI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Vazha-Pshavela's L'Art Poétique

Vazha Pshavela is a writer whose philosophic thinking introduced exceptional literary world, the universe that was quite different from the other writer's worlds. He is also is a writer whose visual thinking amazed the reader. The exceptionality of the Vazha's work that he brought in Georgian poetry had not been observed since Shota Rustaveli. To understand full scale of Vazhas works it was necessary to examine his poetic mastery. This notion was shared among those who were interested in Vazhas works.

Vazhas contemporary literary criticism did not concentrate on evaluating his poetic artistry, as it was mainly interested in examining his ideas and content, while the works' artistic side was left unnoticed.

Vazha Pshavelas creative exclusiveness lies in his manner of writing. In his poetic works, verses and poems, the writer uses rare icons and images, his work

if filled with various literary techniques. It is noteworthy that Vazha did not leave any theoretical work about L'art poétique. In his critical- publicistic letters, the writer almost never touches specific problems of literary criticism, does not talk about expressive forms in poetry. But as a philosopher it was impossible for him not to express his thoughts about important aspects of literature.

In this regard important letter is “thoughts about Knight in the Panther's Skin” where along with the textual analysis the writer shows his own literary credo; talks about importance of visual thinking for poet.

In “Talanted Writer” Vazha writes that literary master must have his own phraseology, own sentences, and his own images.

In Vazhas believe the truth in writing can be expressed in two ways - poetic fiction and publicistic letter. Vazha says that poet chooses outfit for his ideas, makes it better looking, attractive and desirable for everyone. Poet talks with images, often makes lines and verses nearly perfect.

Vazha considers that poet's mission should be to say original thing in an original way. Certainly images and visual thinking is important tool for this matter.

Vazhas works show what significance it has for poet to correctly choose words for building stanzas. “Certainly it is not enough to know words -writes Vazha in his letter “Language”, - you must also understand how to use these words with one another and construct a sentence”

This is Vazhas firm poetic belief, his basic artistic principle.

მამუკა ჭანტურია

საქართველო, თბილისი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

ვაჟა-ფშაველას I' Art Poétique

ვაჟა-ფშაველა ის შემოქმედია, რომელმაც თავისი ფილოსოფიური აზროვნებით წარმოაჩინა სხვებისაგან განსხვავებული სამყარო, მაგრამ იგი ასევე ის შემოქმედია, რომელმაც თავისი სახეობრივი აზროვნებითაც გააოცა მკითხველი, თამამად უნდა ითქვას, რომ სახეთა ასეთი განსაკუთრებულობა და სიუხვე, რაც თან მოიტანა ვაჟამ, რუსთაველის შემდეგ ქართულ პოეზიაში თვალნათლივ არ შეიმჩნეოდა. ვაჟას მთლიანი შემოქმედების გაგებისათვის საჭირო იყო მისი პოეტური ოსტატობის შესწავლა, რასაც ერთხმად აღნიშნავდნენ ვაჟას პოეზიით დაინტერესებული მკვლევრები.

ვაჟას პოეტური ხელოვნების შეფასებაში ვაჟასდროინდელი ლიტერატურული კრიტიკა უდავოდ მოიკოჭლებდა, რომელიც უმთავრესად

დიდი მოაზროვნის შემოქმედების მხოლოდ იდეურ-შინაარსობრივი პრობლემების გარკვევით იყო დაკავებული, ხოლო ნაწარმოებთა მხატვრული მხარე უყურადღებოდ ჰქონდა მიტოვებული.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი განსაკუთრებულობა მის სახეობრიობაში, ანუ როგორც ჩვენი ძველები იტყოდნენ, სახისმეტყველებაში გამოვლინდა. მისი პოეტური ნაწარმოებები – ლექსები და პოემები – აღსავსეა უიშვიათი ხატებით, სხვადასხვა მხატვრული ხერხებით, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ვაჟა-ფშაველას *l'art poétique*-ის შესახებ რაიმე თეორიული ნაშრომი არ დაუტოვებია. იგი თავისი კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში თითქმის არ ეხება ლიტერატურათმცოდნეობის სპეციფიკურ პრობლემებს, არ საუბრობს გამოსახვის პოეტურ ფორმებზე, მაგრამ როგორც ღრმად მოაზროვნე შემოქმედს არ შეიძლებოდა საკუთარი აზრები არ გამოეთქვა ლიტერატურის მნიშვნელოვან მოვლენებზე.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაჟას წერილი „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“ (პირველი წერილი), რომელშიც პოემის ანალიზთან ერთად საკუთარი ლიტერატურული კრედიტ გაგვაცნო, აღნიშნა როგორი აუცილებელია პოეტისათვის სახეებით აზროვნება.

„ნიჭიერ მწერალში“ ვაჟა აღნიშნავს, რომ სიტყვის ოსტატს უნდა ჰქონდეს „საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებები, საკუთარი სურათები“.

ვაჟას თქმით, სიმართლე მწერლობაში ორგვარი ფორმით გადმოიცემა – პოეტურ-ბელეტრისტულით და პუბლიცისტურით. „პოეტი აზრს ტანსაცმელს ურჩევს, აკოხტავებს, ალამაზებს და ყველასათვის თვალგულმოსასვლელს და მოსაწონსა ჰხდის... პოეტი სურათებით გვესაუბრება, ტაეპებსა ჰქმნის, ხშირად იდეალურს, მისაბაძს...“ („რამე-რუმე“)

ვაჟას მიაჩნია, რომ პოეტი მოწოდებული უნდა იყოს „ორიგინალური რამე თქვას ორიგინალურადვე“ („ფიქრები“, „ბერნემ სთქვა“...), რაშიც ცხადია, სახეობრივი მნიშვნელობის მქონე ხატოვან სიტყვებსაც გულისხმობს.

ვაჟას მთელი შემოქმედება იმის დადასტურებაა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს პოეტი სიტყვების ასხმა-აკინძვას, მათი მეშვეობით სტროფების მარჯვედ აგებას. „რასაკვირველია, არა კმარა მხოლოდ სიტყვები ვიცოდეთ, – წერს ვაჟა წერილში „ენა“, – უნდა ისიც გვესმოდეს, თუ როგორ შევუთანხმოთ ეს სიტყვები ერთი მეორეს და წინადადება როგორ ავაშენოთ“.

ასეთია ვაჟა-ფშაველას ურყევი პოეტური მრწამსი, ძირითადი შემოქმედებითი პრინციპი.

EKA CHIKVAIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

“Gvelismchameli” (“The Snake-eater”) By Vazha Pshavela and Biblical Parallels

Vazha Pshavela is an intellectual, whose works are interesting for readers from different angle. The vision of the master, the topics the writer focuses on give an opportunity of multi- facial perception of his inner world. Universal archetypes and national myths converge in his works. This combination is so natural in the writer’s vision-theory that it is hard to perceive them separately.

Consequently, we face completely new phenomenon created by their fusion-mixture that is called Vazha’s thinking. For example, on one hand Mindia’s folk face and the fairytale line of Rustaveli’s “The Night in Tiger’s Skin” and on the other hand mixture of Biblical paradigmatic model, archetype (conflict model of Adam and Eva). Consequently, first and second vector is relatively vivid, but third, namely Adam and Eva’s line needs specification.

We tried to explain: 1. Mythological (a, folk mythology: Mindia, b. literary: “The Night in Tiger’s Skin”, c. their fusion-mixture: wood-goblins) and universal (a, the fall of Adam and Eva, its reasons and results and the conflict between Mindia and Mzia, regressive metamorphosis-fall with its reasons and consequences, b. semantic and symbolic essence of snake in Bible and writings) correlation of archetypes and ideological model created by their combination.

Here come correlative topics like anthropological models. Namely understanding and perception of some anthropological standpoint (the role of heart and mind in human behavior.. a. “heart’n mind are brothers”, b. heart is a driver and vice versa c. mind subordinates heart.)

We think that it is absolutely necessary to consider Biblical archetypes to somehow fully perceive the plural problems of “Gvelismchameli” (“The Snake-eater”) and Vazha’s belief in this context – is absolutely vivid and unambiguous.

შპა ჩიკვაიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვაჟას „გველისმჭამელი“ და ბიბლიური პარალელები

ვაჟა-ფშაველა ის მოაზროვნეა, რომლის თხზულებები არაერთი რაკურსით არის მკითხველისთვის საინტერესო. შემოქმედის ხედვა, ის თემატიკა, რომელსაც მწერალი ხშირად დასტორიალებს თავს, მისივე შინაგანი სამყაროს მრავალპლანიანი აღქმის საშუალებას

იძლევა. მის შემოქმედებაში ერთმანეთს ერწყმის უნივერსალური არქეტიპები და ნაციონალური მითები. მხოლოდ ეს შერწყმა შემოქმედის ორიგინალური ხედვა-თეორიის შედეგად იმდენად ბუნებრივია, რომ შეიძლება ვერც ერთი დამოუკიდებლად ვეღარ აღვიქვათ. შესაბამისად, საქმე გვექნება მათი შერწყმა-შეზავებით მიღებულ თვისებრივად ახალ ფენომენტთან, რომელსაც ვაჟასეული აზროვნება ჰქვია. ასეთია, ერთი მხრივ, მინდიას სახის ხალხური პლასტისა და „ვეფხისტყაოსნის“ ზღაპრული ხაზი, ხოლო, მეორე მხრივ, ბიბლიური პარადიგმული მოდელის, არქეტიპის (ადამისა და ევას კონფლიქტის მოდელი) შერწყმა. შესაბამისად, პირველი და მეორე ვექტორი მეტ-ნაკლებად თვალსაჩინოა, მესამე, კერძოდ ადამისა და ევას ხაზი, დასაკონკრეტებელი.

ჩვენ შევეცადეთ, აგვეხსნა 1. მითოსური (ა. ხალხურ-მითოსური: მინდია, ბ. ლიტერატურული: „ვეფხისტყაოსანი“, გ. მათი თანხვედრა-შერწყმა: ქაჯები) და 2. უნივერსალური (ა. ადამისა და ევას დაცემა, დაცემის მიზეზები და შედეგები და მინდიასა და მზიას კონფლიქტი, რეგრესული მეტამორფოზა-დაცემა მიზეზებითა და შედეგებით, ბ. გველის სემანტიკური და სიმბოლური არსი და მიმართება ბიბლიასა და თხზულებაში) არქეტიპების ურთიერთმიმართება და მათი შერწყმით მიღებული იდეური მოდული. აქვე იკვეთება შენაკადი საკითხებიც ისეთი რიგისა, როგორიცაა ანთროპოლოგიური მოდელები. კერძოდ, გააზრება და აღქმა ვაჟას ზოგიერთი ანთროპოლოგიური თვალსაზრისისა (გულისა და გონების დატვირთვა ადამიანის ქმედებაში: ა) „გული-დ გონება ძმანია“, ბ) გული წარმმართველია და, პირიქით, გ) გონება იქვემდებარებს გულს).

ვფიქრობთ, რომ „გველისმჭამელის“ პრობლემემატიკის მეტ-ნაკლებად სრულფასოვნად აღსაქმელად ბიბლიური არქეტიპების გათვალისწინება უსათუო და აუცილებელი პირობაა, ხოლო ამ კონტექსტში აღქმული ვაჟას მრწამსი – სრულიად ცალსახა და არაორაზროვანი.

MARY CHILDS

USA, Washington

University of Washington

Speaking for Nature: Vazha-Pshavela and Eco-Criticism

This paper will apply the relatively new theory of literary eco-criticism to the works of Vazha-Pshavela, including his vignettes “ia” (The Violet), “mtis tsq’aro” (The Mountain Stream), and “mt’ani maghalni” (The High Mountains), which, rooted in the Georgian landscape, help to define the Georgian psyche. But these works also connect that specific psyche with a larger sense of humanity, a sense which results in part from Vazha-Pshavela’s understanding of man’s participation in nature; articulating voices from nature, these works illustrate Vazha-Pshavela’s sense of the deep interconnectedness between man and nature, and the sense of the divine and spiritual power man experiences from that interconnection. As a theoretical framework, I draw on the work of William Ruekert, who introduces his seminal article on eco-criticism with a quote: “...the function of poetry...is to nourish the spirit of man by giving him the cosmos to suckle. We have only to lower our standard of dominating nature and to raise our standard of participating in it in order to make the reconciliation take place. When man becomes proud to be not just the site where ideas and feelings are produced, but also the crossroad where they divide and mingle, he will be ready to be saved.” (Francis Ponge, *The Voice of Things*) Vazha-Pshavela, willing to explore the intermingling of man and nature, is just such a writer who can offer spiritual sustenance to mankind in a moment of ecological crisis.

NATELA CHITAUARI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Vazha-Pshavela in Georgian Emigrant Literature

Intercultural and comparative researches made evident specific nature of national write created abroad: Special psychology, imaging moment, etc.

The important stage of Georgian foreign write (Starts at the twenties of XX century, before the dissolution of the Soviet Union) because of several reasons (forced emigration, closed space, etc.) is known as emigrant write.

The inheritance of XX century Georgian writers in Europe and USA, tabooed in Soviet reality, with its “clichés” (Freedom from conjuncture of So-

viet totalitarian system, special interest in national write), is especially valuable for post Soviet Georgian thinking space.

In this case we are interested in the evaluation of Vazha-Pshavela from emigrants' point of view. Grigol Robaqidze's deep considerations about problematic matters of Vazha-Pshavela's creative works like relations with religion, myths and folk-lore are well-known. Also Viktor Nozadze, known today as Rustvelologist researcher, devoted several letters to Vazha-Pshavela's creative work in journal "Kavkasioni" (XX Century, 60-ies, Paris). (In one letter he remembers meeting with Vazha-Pshavela). His not yet published work "Tales and stories of past time" (Written in 1948, France. The fourth chapter of this research discusses Georgian literature of 19th century) is interesting as well. Viktor Nozadze analyzed Vazha's animist and pantheist topic and named as misunderstanding, position of the people who agreed Vazha's animism and pantheism. The researcher underlines that so-called "Prosopopea" is not a way of artistic speech, (simply animation, personification) but the object of creation, principle, by means of which the writer observes unnoticed spheres of existence, reaches the deepest layers of human nature, makes us acquainted with the processes of transfiguration and transformation. That's why all – nature, religious, mythical or folklore motives are reflected not abstractly, but in dynamics, on the background of intercommunication and with them is formed a special dependence. Viktor Nozadze believes that Vazha's ideology (world outline) can't be places in the frames of any doctrine.

We think that today, in the context of culture integration and intercultural intersection, in order to achieve the full-value, it is necessary that researches of writers and especially classics encompass every sphere and stage of the development of national cultural point, even thought-outs of compatriots living abroad and not judging agree we or not on their opinions.

ნათელა ჩიტაური

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვაჟა-ფშაველა ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში

ინტერკულტურულმა, კომპარატივისტულმა კვლევებმა გამოკვეთა საზღვარგარეთ შექმნილი ეროვნული მწერლობის სპეციფიკური ხასიათი: განსაკუთრებული ფსიქოლოგიზმი (სხვა კულტურული მოდელის მიღებისას ნაციონალური მეხსიერების შენახვის შესაძლებლობა), „ხედვის კუთხის“ გადანაცვლება (ე. წ. იმაგოლოგია) და სხვა. ქართული საზღვარგარეთული მწერლობის მნიშვნელოვანი ეტაპი (ინყება XX საუკუნის ოციანი წლებიდან ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლამდე) სხვადასხვა მიზეზთა გამო (იძულებით)

ბითი ემიგრაცია, ჩაკეტილი სივრცე და ა.შ.) ცნობილია ემიგრანტულ მწერლობად. საბჭოთა სინამდვილეში ტაბუდადებული XX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა მემკვიდრეობა ევროპასა და ამერიკაში თავისი „კლიშეებით“ (თავისუფლება საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის კონიუნქტურისგან, განსაკუთრებული ინტერესი ეროვნული მწერლობის მიმართ, არასტემატურობა და ა.შ.), ვფიქრობთ, განსაკუთრებით ფასეულია პოსტსაჭოთა ქართული სააზროვნო სივრცისათვის.

ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ემიგრანტთა გადასახედიდან შეფასებული ვაჟა-ფშაველა. ცნობილია გრ. რობაქიძის არაერთი სიღრმისეული მოსაზრება ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ისეთ პრობლემატურ საკითხებზე, როგორცაა დამოკიდებულება რელიგიასთან, მითოსთან, ხალხურ სიტყვიერებასთან. ასევე დღესდღეობით რუსთველოლოგად ცნობილმა მკვლევარმა ვიქტორ ნოზაძემ უწინააღმდეგარაღ „კავკასიონში“ (XX ს. 60-იანი წლები, პარიზი). რამდენიმე წერილი მიუძღვნა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. (ერთ-ერთ წერილში იგონებს ვაჟასთან შეხვედრას 1913 წ.). აგრეთვე საინტერესოა მისი დღემდე გამოუქვეყნებელი ნაშრომი „გარდასულ დღეთა საქმენი და ამბავნი“ (დანერილია 1948 წელს, საფრანგეთში. ამ გამოკვლევის მე-4 თავში განხილულია მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა). ვიქტორ ნოზაძემ გააანალიზა ვაჟას ანიმისტობისა და პანთეისტობის მომხრეთა არგუმენტები, მათ პოზიციას უწოდა გაუგებრობა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ვაჟას ნაწარმოებებში ე. წ. „პროსოპოპეა“ არის არა მხატვრული მეტყველების ხერხი (უბრალოდ გასულიერება, გაპიროვნება), არამედ შემოქმედების საგანი, პრინციპი, რომლის საშუალებით მწერალი აკვირდება ყოფიერების შეუმჩნეველ სფეროებს, სწვდება ადამიანური ბუნების უღრმეს შრეებს, გვაზიარებს ფერისცვალება-გარდაქმნის პროცესებს. ამიტომაც ყველაფერი – ბუნება, რელიგიური, მითოსური თუ ხალხური მოტივები – ასახულია არა განყენებულად, არამედ ურთიერთკავშირის ფონზე დინამიკაში და ჩამოყალიბებულია მათთან განსაკუთრებული დამოკიდებულება. ვიქტორ ნოზაძის აზრით, ვაჟას მსოფლმხედველობა ვერ თავსდება რომელიმე მოძღვრების ჩარჩოებში.

ვფიქრობთ, დღეს კულტურათა ინტეგრაციის, კულტურათაშორისი კვეთის კონტექსტში სრულფასოვნებისათვის აუცილებელია მწერლების, განსაკუთრებით კლასიკოსების კვლევამ მოიცვას ეროვნული კრიტიკული აზრის განვითარების ყველა სფერო და ეტაპი, თუნდაც უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეების ნააზრევი, განუსჯელად იმისა, ვეთანხმებით თუ არა ჩვენ ამ შეხედულებებს.

EKA CHKHEIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Faustus Paradigm in Folk Epic story “Eteriani” and “Eteri” by
Vazha Pshavela**

“Eteriani” is the best story in the Georgian folk, as it deeply reveals the psychological nature of the human, the epic story of the Romanticism period wonderfully depicts the inner nature of the hero. “Eteriani” is the only epic story in the Georgian folk that completely reveal the human nature. The whole line of the plot is based on the characteristics of the heroes, it is proved by the behavior and passion of the heroes, so in the Georgian folk Murmani personage is unique from the psychological point of view. “Eteriani” clearly defines the edge of Murmani’s transformation into an evil, but Murmani is significantly different from other Georgian folk personages as his transfiguration is fundamentally motivated. He fell in love with Eteri and for the love of her he becomes ill (he sold his soul to the evil)

Faustus literature highlights Christian religion conflict of the medieval period and considers that the link between the human and evil is the reflection of the conflict. “Eteriani” also manifests Faust paradigms.

In Vaja-Pshavela poem “Eteri” King’s servant Sherre fell in love with the newly married prince’s wife. Sherre is under the impression of the lustrously beauty of the princess. He is obsessed by the evil. He goes to the evil and communions with demonic magic. He sells his soul to obtain his love, he becomes sinful and he feels great repentance and at last he makes himself blind.

In formation of Murmani the main feature is Love and the end of the poem is proof of it. After he had known Eteri suicide he seceded too. Thus Murmani is not only the negative personage but he becomes tragic as well.

Murmani and Sherre love was doomed to be failed as they used the magic medium to achieve their goals. (Coomunion with Evils). Happiness could not be attained by using negative power.

ეკა ჩხეიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ფაუსტური პარადიგმა ხალხურ ეპოსში „ეთერიანი“ და ვაჟა-ფშაველას პოემაში „ეთერი“

ქართულ ფოლკლორში არსად ისე ღრმად არ არის ნაჩვენები ადამიანის ფსიქოლოგიური სამყარო, როგორც „ეთერიანიში“. რომანტიკული ეპოსის ეს შესანიშნავი ნიმუში სრულიად განსხვავებული ფერებით გვიხატავს გმირის შინაგან სამყაროს. მთელი სიუჟეტური ხაზი თვით პერსონაჟთა ხასიათებიდან გამოდის და გამართლებულია მათი ქცევებითა და გრძნობების ტრაგიკულობით. შეუძლებელია მურმანის მსგავსი პერსონაჟის პოვნა ქართულ ფოლკლორში. „ეთერიანის“ კომპოზიციაში მკაფიოდ იკვეთება ზღვარი, საიდანაც იწყება მურმანის, როგორც ბოროტი პერსონაჟის ფორმირება. აღსანიშნავია, რომ სხვა ფოლკლორული ბოროტი პერსონაჟებისაგან განსხვავებით მურმანის ბოროტება საფუძვლიანადაა მოტივირებული. მას უსაზღვროდ შეუყვარდა ეთერი. იმდენად ძლიერი იყო ეს სიყვარული, რომ იგი ლოცინადაც კი ჩავარდა (ეშმაკს მიჰყიდა სული).

ფაუსტურ ლიტერატურაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ადამიანის მიერ დემონურ ძალებთან ხელშეკრულების დადება შუა საუკუნეების ქრისტიანულ რელიგიაში მომხდარი განხეთქილების ანარეკლია. „ეთერიანიშიც“ შეინიშნება თავისებური ფაუსტური პარადიგმა.

ვაჟა-ფშაველას პოემაში „ეთერი“ მეფის ვეზირს შერეს შეუყვარდება უფლისწულის ახლადჯვარდნერილი ცოლი. „ქალის სიტურფით დაბზულ“ და „გულდაკოდილ“ შერეს „სიცოცხლე ეშავათება“. ასეთ დღეში მყოფი შერე, მისივე სიტყვით, „უფლისგან გამომეტებულია“. მას გულში „ლალატიანი ეშმაკები უჯდება“. იგი „უცხოეთს“ ანუ შავეთს მიემგზავრება. აღსანიშნავია მისი შავეთში ყოფნა, სადაც ეშმაურ მაგიურობას ეზიარება. მისი დაცემის მიზეზი ქალია. შერე სულს ჰყიდის საყვარელი ქალის მოსაპოვებლად, იგი ცოდვისმოქმედი და ამის გამო ბრალეულობის გრძნობა იპყრობს, ბოლოს კი თვალებს დაითხრის.

მურმანის ხასიათის ჩამოყალიბებაში რომ სიყვარულია მთავარი მოტივი ამას ადასტურებს ნანარმოების ფინალიც. გაიგებს ეთერის თვითმკვლელობას, თვითონაც თავს იკლავს. ამ ფინალში მურმანის სახე მხოლოდ უარყოფითი პერსონაჟი კი აღარ არის, არამედ უკვე ტრაგიკულიც ხდება.

მურმანის და შერეს სიყვარული მარცხით მთავრდება, რადგან მათ მიზნის მისაღწევად მაგიური საშუალებები (ხტონურ არსებებთან – დევებთან, ქაჯებთან და ალებთან – თანაზიარობა) გამოიყენეს. ამგვარი გზით კი ბედნიერების მიღწევა შეუძლებელია.

RUSUDAN CHOLOKHASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Difference and Similarity of Vazha Pshavela's "Snake Eater" with Mythical World

The Poem "Snake Eater" is very significant from the mythical point of view. The wide range of motifs and the character of the main hero take roots from mythical world. For example, Mindia is not considered to be a mortal by the author. According to the poem Mindia visited the world of dead and the proof of it is his 12 years bondage under Kaji where he made his communion with Kaji food - meat of snake. The communion made end to his past status. Mythos widely manifests the divine power of the personage returned from "dead" world; the very person appears to be Mindia.

Like other genetically divine heroes in the magic story Mindia also became as wise as snake - he hears everything, he is fastest, he cures wounded people. So his army never was collapsed. Rye considers Mindia to be a God and according to the old belief the God of rye used to be the person who reaped the harvest, only he could help the rye to renew and revive, as unploughed rye - rotten and dry rye considered to be dead.

Besides of the "Snake Eater" similarity to mythology there is a great difference in characters as well and it does not need to be defined, it is clearly interpreted for the modern reader, but it does not agree with a traditional perception: why rye wanted to be reaped only by Mindia, the aim of eating snake's meat, the end of the poem is different also: being prominent in society drove the hero to the tragic end, in comparison with mythology psychological features of the are manifested in the poem, Mindia could not deal with the problem and he became a suicide, wife badgered him permanently Mindia chopped firewood, went to hunting and so he lost his divine power this was equal of death.

რუსუდან ჩოლოყაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელის“ მსგავსება და განსხვავება მითოსურ სამყაროსთან

პოემა „გველის-მჭამელი“ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც კი გამორჩეულია მითოსთან სიახლოვეთ. მასში მთავარი გმირის სახე და მთელი რიგი მოტივები მითოსიდან იღებს სათავეს. მაგალითად, მწერალს მინდია ჩვეულებრივ მოკვდავად არ ჰყავს გააზრებული ნაწარმოების მიხედვით ის „იმ“ ქვეყანას ნამყოფი გმირია და „იქიდან“ დაბრუნებული, რაზეც ქაჯებთან მისი 12 წლიანი ტყვეობა მეტყველებს და სადაც ქაჯების საკვებსაც ეზიარა - გველის ხორცი იგემა. ამ ზიარებით დასრულდა მისი არსებობა ძველ სტატუსში და ახალში დაიწყო. მითოსისათვის კი სრულიად ბუნებრივია „იქიდან“ დაბრუნებული, „იქაურს“ ნაზიერები ზებუნებრივი, ღვთაებრივი ძალის მატარებელი იყოს და ასეთია მინდიაც.

როგორც ყველა გენეტიკურად ღვთაებრივი გმირი ჯადოსნურ ზღაპარში ის გველივით გრძნეული გახდა – ესმის ყველასი და ყველაფრის, უსწრაფესია, დაჭრილთა გამჯანსაღებელი. ამიტომ იყო, რომ მისი ჯარი არ მცირდებოდა. ამასთანავე თავთავნი მინდიას თავიანთ ღმერთად მიიჩნევენ და მართლაც თავთავის მკელი ღვთაებად ითვლებოდა უძველესი რწმენით, მხოლოდ მკელს შეეძლო განახლების, ამ ქვეყნად ხელახლა მოსვლის საშუალება მიეცა თავთავისათვის, რადგან მოუმკელად დარჩენილი – გამხმარი ან დამპალი თავთავი სამუდამოდ დაღუპულად ითვლებოდა.

მიუხედავად ამგვარი მსგავსებებისა მითსა და „გველისმჭამელს“ შორის, მათ არსებითი ხასიათის სხვაობანიც ახასიათებთ, მაგალითად, ის, რაც მითში იგრძნობა, იგულისხმება და განმარტებას არ საჭიროებს, ლიტერატურულ ნაწარმოებში უკვე ახსნილია და სახელდებალი თანამედროვე მკითხველისათვის გასაგებ ენაზე, მაგრამ ეს უკვე არ ემთხვევა ტრადიციულ გაგებას. მაგალითად, გველის ხორცის შეჭმის მიზანი, თავთავებს რატომ სურდათ მინდიამ მოჭრას ისინი და სხვა; განსხვავებულია ნაწარმოების ფინალიც: საზოგადოებაში გამორჩეულობამ ტრაგედიამდე მიიყვანა ლიტერატურული ნაწარმოების გმირი. აქ უკვე მითოსისაგან განსხვავებით ფსიქოლოგიური მომენტი იწვევს წინა პლანზე, რასაც მინდია ვერ უმკლავდება და თვითმკვლელი ხდება. თუმცა ის თვითმკვლელი მანამ გახდა, სანამ ხანჯალს დაიცავდა გულში. ეს მაშინ მოხდა, როცა აჰყვა ცოლის გაუთავებელ ჩიჩინს და საკუთარი თავის წინააღმდეგ წავიდა: მოჭრა შეშა და მოინადირა ნადირი. ამ საქციელით მან ღვთაებრივი ძალა დაკარგა, ეს კი სიკვდილის ტოლფასი იყო მითოსური წარმოდგენით.

KETEVAN ELASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Poet of the Sky Path
(Aspiration Range in Vazha-Pshavela's Fiction)**

In the old Georgian literature the sky is not only the area above the earth but it is the path to the heaven as well, the face language of the symbols covered only Bible allusions (it initiates and originates only God) and it was manifested in the old Georgian literature.

This "divine binding" detained the process of transformation of sacral archetype into the literature symbol; Shota Rustaveli created the universal sample of the religious philosophy in his epic poem "The Knight in the Panther's Skin" (in this poem king's throne is the symbol analogy of mountain, thus the spiritual initiation of Tariel is not caused by conquering the summit, but by arising at Indian throne); David Guramishvili created Biblical peripetias in classical literature thinking. From the point of view some kind of vacuum was till XIX century.

Actually the biography of "Georgian Mountain" takes start from Romanticism. But here mountain appears to be the monument of petrified spike of the past magnificence (from Aleksandre Chavchavadze – "Caucasus" till Ilia Chavchavadze "Letters of Traveller") only Vazha-Pshavela manifests mountain in a natural and pristine state. Here it covers all the symbols of literature. Vazha-Pshavela mountain with its "face language" has its thoughts – "mist is the thought of mountain", thrill of dream – "mountains beautiful flowery landscape", beatitude and kindness "love mountain", spiritual and human dignity, conquering the summit, "necked emotion of the height" (I was in mountains), all the symbols reveal the spiritual rise of the poet, it also creates self-portrait of Vazha-Pshavela, it is like a "divine talks" for poet... /" I like height/ thus I like mountains/ so I rise/ and not die/" "To Mountain". The poet creates the wonderful and divine features and characters of the sky and it is almost the heaven for the reader.

Opening the sky heights in Georgian Literature takes roots from Romanticism (like a mountain face language) – this poetic mystery started from Nikoloz Baratashvili "sky color, blue color", in the poem the sky is the divine path to the heaven and it is transformed into the mysterious and eternal aspiration of the poet.

As for the unity of the sky and the earth only Vazha-Pshavela can create the best characteristic features. "Night in the Mountain" "Stars Blossom" "Strike by the sky" "Why am I created as Human" Vazha –Pshavela is the greatest poet creating such a marvelous poetry.

ქეთევან ელაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ცის ბილიკის პოეტი (ზესწრაფვის მხატვრული დიაპაზონი ვაჟა-ფშაველასთან)

ცის მარტოოდენ ზეცის ფენომენით განცდამ, მთაში მარტოოდენ „ზეციური კიბის შეგრძნებამ (და, რაც მთავარია, მათი ოდენ ღვთაებრივი სანყისით საკრალიზებამ), – ამ სიმბოლოთა სახისმეტყველებითი დიაპაზონი მხოლოდლა ბიბლიური ალუზიებით შემოფარგლა, რამაც ფაქტიურად მოიცვა მთელი ძველი ქართული მწერლობა.

ამ „ღვთაებრივმა მიჯაჭვულობამ“ საკრალური არქეტიპებიდან ლიტერატურულ სიმბოლოდ ქმნადობის პროცესიც ერთგვარად შეაფერხა; მიუხედავად იმისა, რომ შოთა რუსთაველმა რელიგიური ცნობიერების მხატვრული ინტერპრეტირების უნივერსალური ნიმუში შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ სახით (ამ პოემაში ხომ სამეფო ტახტი მთის სიმბოლური ანალოგიაა და ამიტომაც, ტარიელის სულიერი ინიციაცია ხდება არა მწვერვალის დაპყრობით, არამედ ინდოეთის სამეფო ტახტზე აღსვლის ჟამს...); დავით გურამიშვილმა კი კლასიკურ მხატვრულ აზროვნებას ბიბლიური პერიპეტიები შესძინა („მთაო ღვთისაო, მთაო პოხილო, დავითის საგალობლო“...), – თუმცაღა, შემდგომ, ამ თვალსაზრისით, მაინც ერთგვარი სახისმეტყველებითი ვაკუუმი იკვეთება XIX საუკუნემდე.

ფაქტიურად, „ქართული მთის“ ლიტერატურული ბიოგრაფია რომანტიკოსებიდან იწყება. ოღონდ აქ, მთა მარტოოდენ წარსული დიდების გაქვავებული მხატვრული უტყვი კოლოსია (დანყებული ალექსანდრე ჭავჭავაძეთი – „კავკასია“...), იმავ ინერციით გაგრძელებული თუნდაც ილიას „მგზავრის წერილებში“... და მხოლოდ ვაჟასთან მთა თავის პირველქმნილ „თვინიერ სულის მეტყველებას“ უბრუნდება; ის აქ, ლიტერატურული სიმბოლოს ყველა ასპექტს ზედმინვენით ითავსებს. ვაჟასთან მთას თავისი „სახისმეტყველებითი ფიქრიც“ აქვს – „ნისლი ფიქრია მთებისა“; ოცნების თრთოლვაც – „მთის მშვენიერი ყვავილთა სახით“; გრძნობის უზენაესობაც – „ტრფობის მითით“; ზნეკეთილობაც და ამიტომაც სულიერი ღირსებისა თუ პიროვნული კეთილშობილების ერთგვარი „გვირგვინია („მთათ მითხრეს“), ანდა უბრალოდ „სიმაღლის შიშველი ემოცია“ – მწვერვალის დაპყრობა თუ მთასთან დიალოგი („მთას ვიყავ“), – რაც პოეტისათვის შინაგანი ამაღლების განცდით „ღმერთთან ლაპარაკის“ ტოლფასია... და უკვე სავსებით ბუნებრივია, რომ ვაჟა-ფშაველა საკუთარ ავტობიოგრაფიულ საც მთის თვალსაწიერით ქმნის: „მიყვარს სიმაღლე, / მით მიყვარს მთები... / მიტომ ვმაღლდები / და არა ვკვდები“ („მთას“). მთის ყოვლისმომცველი შთაბეჭდილებით მონუსხული პოეტი ცის სილაჩვარდის მისტიურ უსაზღვროებას მხატვრული ზესწრაფვით გაგვაცდევინებს.

ქართულ მწერლობაში „ლიტერატურული ცის გახსნაც (მთისმეტყველების მსგავსად...) რომანტიკოსთა თვალსაწიერიდან ხდება, სადაც ცა (და არა ზეცა) მეოცნებე – ცდომილი სულის ნავთსაყუდელია... კერძოდ კი, ეს პოეტური მისტერია ნიკოლოზ ბარათაშვილის „ცისა ფერიდან“ იწყება; აქ ხომ სულიერი ტკივილი ლაჟვარდის უსასრულობაშია გაბნეული და ცა თავისი უძირო და შეუცნობელი ფერთამეტყველებით პოეტური სულის მარადიულ ზესწრაფვადაა გარდასახული.

რაც შეეხება, მინისა და ცის ერთიანი „შემოქმედებითი ქვრეტა“, – თუნდაც ცაზე „ვარსკვლავთ აყვავება“ („ლამე მთაში“), ანდა ასტრალურ მიზანსცენათა თავისუფალი მხატვრული ინტერპრეტირებანი („დამსეტყვე ცაო“; „რამ შემქმნა ადამიანად...“) მხოლოდ ცის ბილიკზე ღირსეულად შემდგარ პოეტს – ვაჟა-ფშაველას ხელენიფება.

MAKA ELBAKIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Transformation of Archetype in Medieval Arthurian Cycle

The earliest literary references to Arthur come from Welsh and Breton sources. Thomas Green identifies three key strands to the portrayal of Arthur in this earliest material. The first is that he was a peerless warrior who functioned as the protector of Britain from all internal and external (human or supernatural) threats. The second is that Arthur was a figure of folklore (particularly topographic or onomastic) and localised magical wonder-tales, the leader of superhuman heroes who live in the wilds of the landscape. The third and final strand is that the early Welsh Arthur had a close connection with the Welsh Otherworld, Annwn.

The first narrative account of Arthur's life is found in Geoffrey of Monmouth's Latin work *History of the Kings of Britain*. The popularity of Geoffrey's is generally agreed to be an important factor in explaining the appearance of significant numbers of new Arthurian works in continental Europe during the 12th and 13th centuries, particularly in France.

Paper shows that in the process of transformation of the mythological archetype to the literary character the most significant fact is the changing of the role and function of the king in the plot of the narration.. Whereas Arthur is very much at the centre of the earliest material and Geoffrey's *Historia* itself (he is a great and ferocious warrior, who slaughters witches and giants and takes a leading role in all military campaigns) in the continental romances he is rapidly

sidelined. He becomes the "do-nothing king", whose inactivity and acquiescence constituted a central flaw in his otherwise ideal society. Arthur's role in these works is frequently that of a wise, dignified, even-tempered, somewhat bland, and occasionally feeble monarch.

მაკა ელბაძიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

არქეტის ტრანსფორმაცია არტურის ციკლის რომანებში

არტურის სახელი თავდაპირველად უელსურ და ბრეტონულ წყაროებში გვხვდება. თომას გრინი მითოლოგიური არტურის მხატვრულ სახეში სამ საკვანძო მომენტს გამოჰყოფს: 1. უებრო მეომარი, რომელიც ბრიტანეთს შინაური თუ გარეშე მტრების (როგორც რეალური დამპყრობლების, ისე ზებუნებრივი ძალების) თავდასხმებისგან იცავს; 2. ფოლკლორის, კერძოდ კი, ჯადოსნური ზღაპრების პერსონაჟი (ტოპოგრაფიული ან ონომასტიკული), ველურ ადგილებში დასახლებულ, ტიტანური ძალის მქონე გმირთა წინამძღოლი; 3. გმირი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება უელსურ მიღმა სამყაროს, ენვინს.

არტურის მხატვრული სახის გრადაციის შემდგომ საფეხურად უნდა მივიჩნიოთ გალფრიდ მონმოუტელის ლათინურენოვანი მატანე ბრიტანეთის მეფეთა ისტორია, რომლის საოცარმა პოპულარობამაც მეტწილად განაპირობა მე-12-13 საუკუნეთა მიჯნაზე კონტინენტურ ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში, არტურის ციკლის რომანების წარმოშობა.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მითოლოგიური არქეტის რომანის პერსონაჟად ტრანსფორმირების პროცესში მნიშვნელოვანწილად შეიცვალა არტურის როლი და ფუნქცია. არქაული წყაროებისა თუ გალფრიდის ისტორიის ცენტრალური ფიგურებიდან (ჯადოქართა და გოლიათთა წინააღმდეგ დაუნდობელი მებრძოლი/სამხედრო კამპანიათა წინამძღოლი) არტურმა მეორეხარისხოვანი პერსონაჟის პოზიაზე გადაინაცვლა და იქცა ე.წ. „უსაქმურ მეფედ“, რომლის პასიურობასა და დამთმობ ხასიათს ერთგვარი დისჰარმონია შეაქვს სრულიად განსხვავებულ იდეალებზე ორიენტირებულ საზოგადოებაში.

MOHAMMAD EXIR

Iran, Bushehr

Islamic Azad University

**The Reflection of Epistemological Anxieties in Joseph Conrad's
Heart of Darkness through the Mythic Character "Kurtz"**

The significance of myth is shared by numerous Modernist writers, and Joseph Conrad seems to have anticipated it. *Heart of Darkness* has taken on some of the power of myth through the journey of a protagonist, Marlow, into Africa's dark heart to find a missing explorer. In this novella Kurtz has been considered as a mythic character, as the anonymous Russian trader confesses to Marlow that "[Kurtz] came to [the natives] with thunder and lightning, you know – and they had never seen anything like it – and very terrible. He could be very terrible. You can't judge Mr. Kurtz as you would an ordinary man [...] there was nothing on earth to prevent him killing whom he jolly well pleased" (56). Conrad, through the character of Kurtz, embodies the epistemological anxieties which exist at the heart of modernity, as Vincent Pecora maintains "that the problem of voice – both literary and human – is absolutely central to the whole phenomenon commonly called modernism in Western literature" (993). The novella also very much deals with the European concerns of imperialism, slavery, and the domination of white ideology over the colonized. This paper is an attempt to examine how *Heart of Darkness* expresses the epistemological crisis of meaning and Conrad's attacks upon imperialism in modernist literature.

MARIA FILINA

Georgia, Tbilisi

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

**Self-Assessment of Creativity in the Heritage Group of
Polish Poets of Caucasus**

In Georgia, in the years 1830-1840 was a group of Polish poets, composed of political exiles. One of the leading ideological and aesthetic moments of their heritage was to define the role of poetry and self-creation. Some of the exiles, until their arrival to Caucasus have had a poetic experience. Prevailing writers were Tadeusz Lada-Zablotski, Vladislav Stshelnitsky, Leon Yanishevskii. But

whether they are linked to the literature their life aspirations? This question is ambiguous.

The leading motif "wandering muse," explains a lot - with the romantic notion of poetry combines exceptional high sense of destiny. Muse "patronizes" the core values of the human spirit - generosity and dedication. Polish Caucasian literature as a kind of whole arose not only from the bondage of the authors, and was filling a spiritual void, with this motivation, and related subjects, and the system of images.

Image of the poet is a major in the romantic lyric, since it involves an idea of their mission. In Tadeush Lada-Zablotsky's creativity, the fate of a poet-prophet, who is unavailable vanity light.

But currently no one of the poets of the "Caucasian" does not assign the role of the Prophet. On the contrary, they note innuendo, her poetry, her orphanage.

First, no one of them felt a truly massive talent, allowed you to combine your own voice with the image of the prophet. They were not originally included in the main line of their native culture and, finally, they have much awareness that they are forcibly deprived of the soil, do not have a reader. These poets could not have that inner confidence, which makes the involvement of a particular literary medium. They lived on the periphery of the native culture, and growing into a new environment was difficult. The credibility of the writer to have little associated with the romantic idea of glory. Rather dominated by the sense of duty, national necessity, "the need for truthful testimony" (Yanishevski).

МАРИЯ ФИЛИНА

Грузия, Тбилиси

ТГУ им. Ив.Джавахишвили

Самооценка творчества в наследии группы «ПОЛЬСКИХ КАВКАЗСКИХ ПОЭТОВ»

В Грузии в 1830-1840 гг. функционировала группа польских поэтов, состоявшая из политических ссыльных. Одним из ведущих идейно-эстетических моментов их наследия является определение роли поэзии и самооценка творчества. Некоторые ссыльные до своего прибытия на Кавказ уже имели поэтический опыт. Сложившимися литераторами были Тадеуш Лада-Заблоцкий, Владислав Стшельницкий, Леон Янишевский. Но связывали ли они с литературой свои жизненные стремления? Этот вопрос неоднозначен. Заблоцкий не только писал стихи до ссылки, но и оказался на Кавказе из-за своего антицарского стихотворения, хотя сам поэт признавался, что хотел бы стать ученым.

Ведущий мотив «скитальческой музыки» объясняет многое – с романтическим представлением о поэзии высоких чувств сочетается исключительность судьбы. Муза «патронирует» главные ценности человеческого духа – благородство и посвящение. Польская кавказская литература как некое целое возникла не только в результате неволи авторов, а была заполнением духовной пустоты. С этой мотивацией связана и тематика, и система образов.

Образ поэта является одним из основных в романтической лирике. С ним связано представление о своей миссии. У Заблочного носителем предназначения, судьбы был поэт-пророк, которому недоступна суeta света.

Но себе никто из поэтов-«кавказцев» не присваивает роли Пророка. Напротив, они отмечают недосказанность, своей поэзии, ее сиротство. Это явление объясняется рядом причин. Во-первых, никто из них не ощущал в себе поистине масштабного дарования, позволявшего совместить собственный голос с образом пророка. Во-вторых, в их неуверенности играло роль крайнее происхождение. Они изначально не были включены в магистральную линию родной культуры, и, наконец, у них сильно осознание того, что они насильственно лишены почвы, не имеют своего читателя. Эти поэты не могли иметь той внутренней уверенности, какую дает причастность к определенной литературной среде. Они жили на периферии родной культуры, а вращение в новую среду было сложным. Авторитет писателя для них мало связан с романтическим представлением о славе. Скорее доминировало сознание долга, национальной необходимости, «необходимость правдивого свидетельства» (Янишевский).

JULIETTA GABODZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Two Sides of a Medal

A Real Story about Akaki's and Vazha's Two-Century Polemics

There is a misconception about Akaki's and Vazha's interdependence among the readers. This viewpoint has been widely spread and is of significance for all Georgians (Revaz Japaridze).

Vazha's appearance in Georgian Literature was met differently: magazines "Kvali" and "Nobati" refused to print the poems, in 1888 Peter Mirianashvili criticized Vazha's language style, in 1890 Niko Nikoladze criticized his writings (In a newspaper "Новое Обозрение").

However, Vazha-Pshavela's panegyrics and fans outnumbered his opponents and in 1890 Akaki Tsereteli published a special article "Letters About our Literature" in the newspaper "Teatri", where he defended the young poet from his friend's Niko Nikoladze's criticism.

In 1899 Kirion and Gregory Kipshidze issued the book "Oral Theory". In the review of this book Akaki wrote the following about Vazha-Pshavela's "Gogotur and Apshina": "It is one of the best creations in our literature. In general his poems are magnificent. Prose is even better." But in the same letter Akaki criticized a number of Bachana and Tedo Razikashvili's poems.

In 1901 Vazha published an excellent publicist letter "Language", in which he responded the questions that had emerged. In 1913 Akaki published a poem "To Vazha-Pshavela". The venerable poet's phrase: "I condemn your language Pshavela" turned out to be the most offensive for Vazha.

The work presented entails materials from memoirs and scientific literature about this two-century polemics. According to Vazha's and Akaki's newly discovered and less well-known letters are shown the initial cause and real history of this debate.

ჯულიეტა გაბოძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მედლის ორი მხარე აკაკისა და ვაჟას „ორასაუკუნოვანი“ პოლემიკის რეალური ისტორია

„მკითხველთა შორის ფეხი მოიკიდა არასწორმა შეხედულებამ აკაკის და ვაჟას ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ბეჭდვითი სიტყვის დაუხმარებლად გავრცელებული ეს შეხედულება თითქმის ტრადიციულად მომდინარეობს და ყველა გონიერი ქართველისათვის გულსატკეპია...“ (რევაზ ჯაფარიძე).

ვაჟას გამოჩენას ქართულ მწერლობაში არაერთგაროვნად შეხვდნენ: ჟურნალ „კვალსა“ და „ნობათში“ უარი უთხრეს ლექსების დაბეჭდვაზე, 1888 წელს ჯერ პეტრე მირიანაშვილმა გააკრიტიკა ვაჟას ენა, 1890 წელს კი ნიკო ნიკოლაძემ – მისი ნაწერები. („სადღესასწაულოდ“ („Новое Обозрение“).

მაგრამ ვაჟა-ფშაველას მეხოტბენი და გულშემატკივრები უფრო მრავლად ჰყავდა და აკაკი წერეთელმა 1890 წელს გაზეთ „თეატრში“ (№ 8-10) გამოქვეყნებულ საგანგებო სტატიაში “წერილები ჩვენს მწერლობაზე“ თავგამოდებით დაიცვა ახალგაზრდა პოეტი თავისი მეგობრის (მისი „მტერ-მოყვარის“, როგორც თავად უწოდებდა) ნიკო ნიკოლაძის კრიტიკისაგან.

1899 წელს კი აკაკიმ კირიონისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ გამოცემულ „სიტყვიერების თეორიაზე“ დაწერილ რეცენზიაში „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“ ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინას“ ასეთი შეფასება მისცა: „ერთი უკეთესთაგანია მთლად ჩვენს მწერლობაში, წვრილმანი ლექსები... საზოგადოდ სამარგალიტო შაირები არიან. პროზა ხომ კიდევ უკეთესი“, თუმცა ამავე წერილში გაკრიტიკებულია რამდენიმე ლექსის ენობრივი მხარე, მაგრამ როგორც გ. აბზიანიძე შენიშნავს, აკაკი იმონებებს არა ვაჟას, არამედ ბაჩანას და თედოს ლექსებს.

1901 წელს ვაჟამ გამოაქვეყნა შესანიშნავი პუბლიცისტური წერილი „ენა“, რომლითაც ამომწურავი პასუხი გასცა ყველა კითხვას, მაგრამ როგორც ჩანს, მკითხველს და ალბათ თავად ვაჟასაც ყველაზე უფრო 1913 წელს ნათქვამი მსცოვანი პოეტის ერთი სიტყვა ეწყინა: „ენას გინუნებ ფშაველო“ („ვაჟა-ფშაველას“).

წარმოდგენილ ნაშრომში თავმოყრილია XIX-XX საუკუნეების მემკვიდრეულ და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მასალა ამ ორსაუკუნოვანი პოლემიკის შესახებ. აკაკისა და ვაჟას ახლად გამოვლენილი და ნაკლებად ცნობილი წერილების მიხედვით წარმოჩენილია ამ კამათის პირველმიზეზები და მისი რეალური ისტორია.

NUGESHA GAGNIDZE

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Grigol Robakidze's Tale "Two Brothers"

Grigol Robakidze is known as a lyric poet, prose and essay writer, publicist, brilliant orator and the author of impressive dramas. However his tale "Two Brothers" published in Germany in 1942 in *Westermanns Monatshefte* magazine is not well-known for the reading society.

The primary source of Robakidze's tale is Georgian folk-tale "The Miraculous Shirt" which was first published in the scientific collected stories „Old Georgia“ (1914-1915) edited by Eqvtime Tagaishvili. It is not known if the emigrant writer had the primary source when he was creating his own tale. It is worth paying attention that Robakidze doesn't change the main motif of the tale, he suggests readers his own interpretation of the old Georgian tale.

Robakidze is aware of both Georgian and Oriental folk-tales as well as European tradition. He is an author who doesn't lose his native roots and renders tribute to modern literary tendencies.

In Stefan Neuhaus opinion Robakidze's tale "Two Brothers" possesses all characteristic features of the literary tale which differ it from folk-tale. They

are: the entire picture of the Universe, fixed time and place, impressive psychological pictures of the characters and literary language. There is no any summary of the tale, but there is a polysemantic happy end.

It is worth attention that in his tale, as Robakidze writes it in his notes; he wants to show the originality of Georgian literature and culture to German reader. The writer emphasizes on the Oriental and particularly Persian culture influence on Georgian literature and art.

In the tale "Two Brothers" as well as in all his works Robakidze once more raises a burning question about independence of Georgia. The theme of retuning the miraculous shirt in the tale reflects the idea of restoring the lost independence and freedom of Georgia.

ნუბეჟა ბაბნიძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურული ზღაპარი „ორი ძმა“

გრიგოლ რობაქიძეს მკითხველი და ფართო ლიტერატურული წრეები იცნობს როგორც ლირიკოსს, პროზაიკოსს, ესეისტს, პუბლიცისტს, შესანიშნავ ორატორს და შთამბეჭდავი დრამების ავტორს. მისი ლიტერატურული ზღაპარი „ორი ძმა“, რომელიც 1942 წელს დაიბეჭდა გერმანიაში, ჟურნალ *ჭესტერმანს Monatshefte*-ში, ნაკლებადაა ცნობილი საზოგადოებისათვის.

რობაქიძის ლიტერატურული ზღაპრის პირველწყაროს წარმოადგენს ქართული ხალხური ზღაპარი „სასწაულმოქმედი პერანგი“, რომელიც პირველად ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემულ სამეცნიერო კრებულში „ძველი საქართველო“ (1914-1915) დაიბეჭდა. ქონდა თუ არა ემიგრანტ მწერალს ეს პირველწყარო, როცა თავის ლიტერატურულ ზღაპარს ქმნიდა, უცნობია. საყურადღებოა ის მომენტი, რომ რობაქიძე არ ცვლის სასწაულმოქმედი პერანგის მოტივს, მაგრამ იგი ძველი ქართული ზღაპრის მისეულ ვერსიას თავაზობს მკითხველს.

რობაქიძისათვის კარგად არის ცნობილი როგორც ქართული და აღმოსავლური, ასევე ევროპული ხალხური და ლიტერატურული ზღაპრის ტრადიცია. ამდენად იგი გვევლინება ავტორად, რომელიც არც ეროვნულ ნიადაგს წყდება და, ამავდროულად, თანადროულ ლიტერატურულ ტენდენციებსაც გარკვეულ ხარკს უხდის.

რობაქიძის ზღაპარს – „ორი ძმა“, გააჩნია ყველა ის ნიშანი, რომლითაც შტეფან ნოიჰაუზი ლიტერატურულ ზღაპარს ხალხური ზღაპრისაგან განასხვავებს: მასში მოცემულია სამყაროს კომპლექსური

სურათი, დაფიქსირებულია მოქმედების დრო და დამახასიათებელი ადგილი, იგი დაწერილია ლიტერატურული ენით, შერეული პერსონაჟების ფსიქოლოგიური პორტრეტები შთამბეჭდავია. რობაქიძის ლიტერატურულ ზღაპარს არა აქვს არავითარი შეჯამება, მაგრამ გააჩნია არაერთმნიშვნელოვანი კეთილი დასასრული.

საყურადღებოა ის მომენტი, რომ ლიტერატურული ზღაპრით — „ორი ძმა“, რობაქიძე ცდილობს გერმანელ მკითხველს უჩვენოს ქართული ლიტერატურისა და კულტურის თვითმყოფადი სახე, რაზეც იგი თავად ზღაპრის მოკლე მინანქრშიც მიუთითებს. მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს აღმოსავლური, კერძოდ კი, სპარსული კულტურის განსაკუთრებული გავლენის შესახებ ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

ზღაპარში „ორი ძმა“ და მის მინანქრში, ისე როგორც საერთოდ რობაქიძის შემოქმედებაში, ავტორი კიდევ ერთხელ მიაწინებს მკითხველს მტკივნეულ პრობლემაზე – საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე. სასწაულმოქმედი პერანგის დაბრუნების იდეაში იგი დაკარგული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაბრუნების იდეას განასხეულებს.

IAMZE GAGUA

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Beholding Beauty and Delighting in It (According to Vazha Pshavela and Ovid)

What are the feelings that beauty stirs in a beholder? How does it work, how is it perceived by humans and other living beings? These are the questions that the paper attempts to answer referring to Vazha Pshavela stories “Gochi”, “Svavi” (Vulture), and “Shekvarebuli” (Enamoured) and the Ovidian myth “Acis and Galatea” as presented in “Metamorphoses”. More specifically, I will dwell on the dynamic between beauty and ugliness in the works of Vazha and Ovid. Can goodness and beauty transform an evil being and change its ugly soul? These two authors have an identical opinion in this regard: ugliness (whether physical or spiritual) is incompatible with beauty. A momentary proximity to beauty touches the ugly soul, but only temporarily; it does not change its hideous lifestyle as the ugly soul is not capable of self-devotion and selfless love, without which it is impossible to conceive beauty.

იამზე ბაბუა

საქარართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მშვენიერების ჭვრეტა და მისით ტკობა (ვაჟასა და ოვიდიუსის მიხედვით)

რა გრძნობებს აღძრავს მშვენიერების ხილვა, რა ძალით მოქმედებს, როგორ აღიქმება იგი ადამიანთა და ყოველგვარი სულიერის მიერ — ამ საკითხებზე პასუხის გაცემას შევეცდებით ვაჟას რამდენიმე მითხრობის: „გორი“, „სვაფი“, „შეყვარებული“ და ოვიდიუსის მითის „აკისი და გალატეას“ მიხედვით, რომელიც პოემა „მეტამორფოზებშია“ დამუშავებული; უფრო ზუსტად კი, შევხებით სილამაზისა და სიმახინჯის ურთიერთმიმართების საკითხს ვაჟასა და ოვიდიუსის ნაწარმოებებში. შეუძლია თუ არა სიკეთეს, მშვენიერებას, სილამაზეს გარდაქმნას უკეთური არსება, შეცვალოს მათი გონჯი სული. ამ ორი დიდი შემოქმედის შეხედულება ამ საკითხზე იდენტურია: სიმახინჯე (ფიზიკური და სულიერი) ვერ იგუებს მშვენიერებას, მასთან წამიერი სიახლოვე თითქოს რაღაც ძვრებს ინვეს გონჯის სულში, მაგრამ მხოლოდ დროებით; არ ცვლის მისი ცხოვრების მახინჯ წესს, რადგან მას არ გააჩნია უნარი თავგანწირვის, უანგარო სიყვარულისა, რომელთა გარეშე მშვენიერებასთან ზიარება შეუძლებელია.

MANANA GELASHVILI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Mythical Time in Ezra Pound's *The Cantos*

In his magnum opus, *The Cantos*, Pound attempts to give a mythical perception of human history. Hence, historical linear time is replaced by mythical time. As a result although Pound aims to create a history of mankind's spiritual and intellectual experience comprising all important stages of its development from Homer's *Odyssey* to World War II, *The Cantos* is not a historical poem and numerous historical events mentioned in the poem serve to a completely different purpose: to create a timeless universe of a myth where all time is one. By projecting various layers of history on the present Pound creates a cyclical world where all characters function as archetypes. E.g. fair Helen is at one and the same time the Helen of Troy, the reason of the Trojan War, Helen of Aqu-

itaine, Dannay, the Moon, Pound's muse (or 'his true Penelope') etc - i.e. female archetype. In the 'magic moment of metamorphosis' (Pound) all times merge into one timeless mythical time of *The Cantos*.

The article gives analysis of the artistic devices (techniques of montage and collage, usage of masks, fugue and counterpoint) exercised by the author to create a complicated, multilayered text where the whole history of mankind exists simultaneously in the mythical chronotope.

მანანა გელაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

მითოსური დრო ეზრა პაუნდის „კანტოებში“

პაუნდის „კანტოებში“ ადგილი აქვს კაცობრიობის ისტორიის მითოსურ გააზრებას. შესაბამისად, სწორხაზოვანი, ისტორიული დროის ადგილს მითოსური დრო იკავებს, რომელიც ციკლურია. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ პაუნდი ამ ნაწარმოებში მიზნად ისახავდა კაცობრიობის სულიერი და ისტორიული გამოცდილების ისტორია შეექმნა და მისი ყველა ეტაპი მოეცვა ჰომეროსიდან და ტროას ომიდან დაწყებული მეორე მსოფილო ომით დამთავრებული, „კანტოები“ ისტორიული პოემა არ არის და მთელი გამოყენებული ისტორიული მასალა სულ სხვა მიზანს ემსახურება. წრსულის სხვადასხვა შრეების ანმეოზე პროეცირებას მითის ზედროულ სამყაროში გადავყავართ, სადაც „მშვენიერი ელენე“ ერთსა და იმავე დროს ტროის ომის მიზეზიცაა, ელენე აკვიტანიელიც, მშვენიერი დანაიცა, პაუნდის მუზაცა და მთვარეც – ანუ ზოგადად მარადქალური, რადგან „მეტამორფოზის მაგიურ მომენტში“ (პაუნდი) „კანტოებში“ ყველა დრო თანაასრსებობს მითოსის ერთ ზედროულ დროში.

ნაშრომში გაანალიზებულია ის მრავალფეროვანი მხატვრული ხერხები (მონტაჟისა და კოლაჟის ტექნიკის გამოყენება, არქეტიპული პერსონაჟების ურთიერთჩანაცვლება, ფუგისა და კონტრაპუნქტის ტექნიკა, ნიღბების გამოყენება), რომელიც „კანტოების“ რთულ და მრავალშრიან მხატვრულ ქოვილს წარმოქმნის, რომლის „უცვლელი ცვალებადობის“ მითოსურ ქრონოტოპში კაცობრიობის მთელი ისტორია სიმულტანურად არსებობს.

MERAB GHAGHANIDZE

Georgia, Tbilisi

Ilia State University

Myth of Tamar in the 20th Century Georgian Novels

Georgian historiographic and folklore texts about Queen Tamar afford possibility to make the reconstruction of the myth of Tamar, and mythological structure of them is evident. The structure of this myth was shown and studied earlier by Georgian researchers (first of all in the studies by Ksenia Sikharulidze and Zurab Kiknadze).

The more important among the Georgian novels about Queen Tamar in the 20th century are: “The Unlucky George” by Shalva Dadiani (1914-1926; 1st edition: 1927); “Pirimze” by Vasil Barnovi (1930; 1st edition: 1947); “Tamar” by Konstantine Gamsakhurdia (unfinished; 1960/1970s; 1st edition: 1983).

To study of the relations (in artistic or in ideological dimension) between these three novels is very important, as well to study the mythological facet of each of them and to understand them, which are shown sometimes as symbol or reminiscence, sometimes as upsetting.

While studying we have to find the answers on these questions: a) could we recover the mythological models or mythologemas in the artistic construction of the novels; b) have they any relation with the available myth of Tamar; c) do they enrich these novels by the new mythologemas, new images; d) how the old or new mythologemas support the artistic or ideological aims of the novelists.

The image of Queen Tamar in Georgian novels of 20th century is shown by the mythologema of Virgin-Queen (or Virgin and Queen) and there is not shown at all the mythologema of Mother.

The narratives about Queen Tamar in the Georgian novels of 20th century are more poetic, than mythological.

მერაბ ჭაღანიძე

საქართველო, თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარის მითოსი XX საუკუნის ქართულ რომანისტიკაში

მეფე თამარის შესახებ ქართული კლასიკური ისტორიოგრაფიისა და ქართული ხალხური სიტყვიერების მონაცემები საშუალებას იძლევა აღდგენილი იქნეს თამარის მითოსი, რომელსაც გამოკვეთილი მითოსური ხასიათის სტრუქტურა აქვს და რაც გამოვლენილი და შესწავლილია ქართველ მკვლევართა მიერ (გასათვალისწინებელია, უწინარეს ყოვლისა, ქსენია სიხარულიძისა და ზურაბ კიკნაძის კვლევები).

მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში მეფე თამარის შესახებ ტექსტებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამ რომანს: შალვა დადიანის „გიორგი რუს“ (1914-1926; პირველი გამოცემა – 1927), ვასილ ბარნოვის „პირიმზეს“ (1930; პირველი გამოცემა – 1947) და კონსტანტინე გამსახურდიას „თამარს“ (დაუმთავრებელი; 1960-იანი/1970-იანი წლების მიჯნა; პირველი გამოცემა – 1983).

საგანგებო კვლევას იმსახურებს ამ სამი რომანის ერთმანეთთან მიმართება (მხატვრული და იდეური თვალსაზრისით), ზოგადად, და, კერძოდ, თითოეულ მათგანში მითოსურობის – თამარის მითოსის – ასახვა, რაც ხან მინიმუმის, ხან გადაძახილის, ხან შებრუნების სახეს იღებს.

კვლევა მოითხოვს, პასუხი გაეცეს კითხვებს: ა) გვხვდება თუ არა რომანების მხატვრულ ქსოვილში მითოსური მოდელები ან მითოლოგემები; ბ) როგორ მიმართებაშია ისინი უკვე არსებულ თამარის მითოსთან; გ) შესძენს თუ არა თამარის მითოსს ეს რომანები ახალ მითოლოგემებს, ახალ ხატებს; გ) რამდენად ემსახურება ქველი თუ ახალი მითოლოგემები რომანისტიკის მიერ დასახულ მხატვრულ და იდეურ ამოცანებს.

თამარის სახე რომანისტიკაში წარმოდგენილია ქალწული-მეფის (ან ქალწულისა და მეფის) მითოლოგიით და უმთავრესად უგულუბელყოფილია თამარის, როგორც დედის, მითოლოგემა.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ XX საუკუნის ქართულ რომანისტიკაში თხრობა თამარის შესახებ უფრო პოეტიზირებულია, ვიდრე მითოსიზირებული.

ELENE GOGIASHVILI

Georgia, Tbilisi

Tbilisi State University

Interpretations of Collective Beliefs in Folk Tales (Folk Tale Study and Psychoanalysis)

Psychologists and anthropologists have shown the universality of most myths, founded as they are on human's universal need to justify and in some sense to explain away reality. But while all societies manifest basic and similar fears and needs, each expresses them in unique form, according to its particular history and circumstances. Inasmuch as myths, which are expressions of human needs both individual and collective, are specific and different. And insofar as they manifest the desires of a particular society, they are within time and space, rather than vague abstractions about humanity at large.

From the psychoanalytical point of view may well dissolve various problems which could bring valuable contributions, but while studying of collective representations and symbols there should be considered essential characteristics of folklore.

Although the psychological approach to fairy tales is usually associated with Freudian psychoanalysis and other 20th-century theories (Franz Riklin, Ernest Jones, Herbert Silberer), it actually had its beginnings in the previous century, when nationalistic awareness motivated collectors and scholars to study folk tales as expressions of the folk soul. Focusing on the relationship of folk tales to myth, scholars looked to these stories for evidence of the values, customs, and beliefs that expressed a specific people's cultural identity. Over the course of the 19th century and into the 20th, mythic and anthropological approaches to the fairy tale relied on the notion that the study of folk tales could reveal the 'psychology' of ethnic cultures, especially that of so primitive people (Wilhelm Wundt).

In shamanic narrations, in dreams, and in fairy tales, whatever unconscious elements there are appear encoded in cultural patterns and motifs. This must be taken into account, not to swiftly dismiss folkloristic data but rather to extensively investigate it before deciding whether, and in what terms, the philosophical or psychoanalytic interpretations may be helpful in understanding folklore.

ელენე გოგიაშვილი

საქართველო, თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

კოლექტიური რწმენა-წარმოდგენების ინტერპრეტაცია ხალხურ ზღაპრებში (ზღაპარმცოდნეობა და ფსიქოანალიზი)

ფსიქოლოგებისა და ანთროპოლოგების გამოკვლევებით, მითების უმრავლესობა უნივერსალურია – ისინი მომდინარეობენ ადამიანის ზოგადი მოთხოვნილებიდან, დაადგინოს და ერთგვარად ახსნას კიდევ რეალობა. ყოველი საზოგადოება ძირითადი მოთხოვნილებებისა და სურვილების მანიფესტაციას ახდენს და ასახავს უნიკალური ფორმით, რომელიც მათ საკუთარ ისტორიასა და გარემოებებს შეესაბამება. რამდენადაც მითები ადამიანის ინდივიდუალურ და კოლექტიურ მოთხოვნილებებს გამოხატავენ, სპეციფიკური და ურთიერთგანსხვავებული არიან. იმის გამო, რომ ისინი ცალკეული საზოგადოებების სურვილებს ავლენენ, დროსა და სივრცეში უფრო მეტად დაკონკრეტებული არიან და არ წარმოადგენენ ბუნდოვან აბსტრაქციებს ზოგადად კაცობრიობის შესახებ.

იმის მიუხედავად, რომ ზღაპრის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა, ჩვეულებრივ, ზიგმუნდ ფროიდთან, მის მიმდევარ ფსიქოანალიტიკოსებთან და მე-20 საუკუნის სხვა თეორიების ავტორებთან (გ. იუნგი, ფ. რიკლინი, ე. ჯონსი, ჰ. სილბერერი) ასოცირდება, ამის წინამძღვრები მე-19 საუკუნეშივე არსებობდა. ნაციონალური სულისკვეთებით განმსჭვალული მკვლევრები ზღაპრებს „ხალხის სულის“ გამოხატვად მიიჩნევდნენ. ზღაპრისა და მითის ურთიერთობის გაშუქებისას მეცნიერები ზეპირ მოთხრობებში სხვადასხვა ღირებულებებს, წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს ხედავდნენ, რომლებიც ხალხთა კულტურულ იდენტობებს გამოხატავდნენ. მე-19-20 საუკუნეებში ზღაპრის მითოლოგიური და ანთროპოლოგიური მეთოდებით შესწავლამ გააღვიძა იდეა, რომ ზღაპრის კვლევას შეეძლო გაეცოცხლებინა ეთნიკური კულტურების, განსაკუთრებით კი ე.წ. პრიმიტიული ხალხების ფსიქოლოგია (ვ. ვუნდტი).

რაც არ უნდა უმნიშვნელო ელემენტები შეგვხვდეს შამანურ მონათხრობებში, სიზმრებსა და ზღაპრებში, ყველაფერი კულტურულ საფუძვლებთან და მოტივებთან არის დაკავშირებული. ფოლკლორული მონაცემების სიღრმისეული შესწავლა წინ უნდა უძღოდეს სხვადასხვა განზოგადებულ ინტერპრეტაციებს – მაგალითად, ფილოსოფიურსა და ფსიქოანალიტიკურს. ფსიქოანალიზის პოზიციიდან შეიძლება უამრავი საკითხი გადაიჭრას და ღირებული დასკვნები გაკეთდეს, მაგრამ კოლექტიური რწმენა-წარმოდგენებისა და სიმბოლოთა კვლევისას აუცილებელია თავად ფოლკლორული შემოქმედების თავისებურების გათვალისწინება.

NANA GUNTSADZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Symbolism and Mythology

Hatred to the modern reality pushed the symbolist realism to the other direction usually offered by myths. It is true that the poetry was always in tight connection with mythology but unlike the Parnassian poetry classical antiquity is no more the ruling model for symbolists. If the romantic mythology of 20s reminds literary East and discovers Middle Ages again, symbolist mythology makes twofold transition both geographic and climatic: from the clarity of Mediterranean sea to the mysticism of the East and mist of the North.

Eastern representation of symbolism is of a literature character. As for the northern mythology, in particular German and Breton, their popularization took place by efforts of Wagner. Symbolists go back to Wagner's mythology; for

them Wagner is a person who formed and presented on stage new alliance of myth, art and religion. Wagnerian drama offers poets model of mythological symbolism; myth in Wagner's works became a natural support for a symbol.

On his part Max Muller discovers that myths may be reduced to several phrases which figuratively describe natural phenomenon, especially those, which Muller calls Sun's drama: names of gods are only names of sun, which lost their meaning progressively. On his part Mallarme discovered that myths are only words and originate from the derivation of subconscious of a language.

Mallarme opposes one fable which touches archetype of Sun Drama to Wagnerian mythology i.e. heroic, historical, natural mythology, which creates divine starting from "God Richard Wagner". This is an untouched fable of all times and all places, and is nothing more but the poetry, dreamed, as a contemporary form of the mythology, as an abstract mythology. Poetic prose of Arthur Rimbaud is exactly this kind of "dreamed poetry". "Illumination" at the same time reminds Wagner's mythological symbolism and abstract mythology of Mallarme.

ნანა გუნცაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

სიმბოლიზმი და მითოლოგია

თანამედროვე რეალობის სიძულვილმა სიმბოლისტურ რეალიზმს უბიძგა იმ სხვა მხარისაკენ, რომელსაც გვთავაზობს მითები. მართალია პოეზია მუდამ მჭიდრო კავშირში იყო მითოლოგიასთან, მაგრამ პარნასული პოეზიისაგან განსხვავებით კლასიკური ანტიკურობა სიმბოლისტებისათვის აღარ არის გაბატონებული მოდელი. თუ კი ოციანი წლების რომანტიკული მითოლოგია ლიტერატურულ აღმოსავლეთს გამოიგონებს და კვლავ აღმოაჩენს შუა საუკუნეებს, სიმბოლისტური მითოლოგია ორმაგ გადაადგილებას ახდენს, გეოგრაფიულს და კლიმატურს: ხმელთაშუა ზღვის სიციხადიდან აღმოსავლეთის იდუმალეებისაკენ და ჩრდილოეთის ბურუსისაკენ. სიმბოლიზმის აღმოსავლური წარმოდგენა ლიტერატურული ხასიათისაა. რაც შეეხება ჩრდილოეთის მითოლოგიას, კერძოდ გერმანულს და ბრეტონულს, მათი პოპულარიზაცია ვაგნერმა მოახდინა. სიმბოლისტები სწორედ ვაგნერულ მითოლოგიას უბრუნდებიან; მათთვის ვაგნერი არის ის ვინც ჩამოაყალიბა და სცენაზე წარმოადგინა მითის, ხელოვნების და რელიგიის ახალი ალიანსი. ვაგნერისეული დრამა პოეტებს მითოლოგიური სიმბოლიზმის მოდელს სთავაზობს: მითი ვაგნერთან სიმბოლოს ხელოვნების ბუნებრივ დასაყრდენად იქცევა.

თავის მხრივ მაქს მიუღწერი აღმოაჩინა, რომ მითები შესაძლოა დაყვანილ იქნას რამდენიმე ფრაზამდე, რომლებიც ფიგურალურად აღწერს ბუნებრივ მოვლენებს, განსაკუთრებით იმას, რასაც მიუღწერი მზის დრამას უწოდებს: ღმერთების სახელები, ხომ მხოლოდ მზის სახელებია, რომელთა მნიშვნელობაც პროგრესულად დაიკარგა. თავის მხრივ მალარმემ აღმოაჩინა, რომ მითები მხოლოდ სიტყვებია და ენის არაცნობიერი დერივაციიდან წარმოიშვება.

ვაგნერიანულ მითოლოგიას ანუ საგმირო, ისტორიულ, ეროვნულ მითოლოგიას, რომელიც „ღმერთი რიჰარდ ვაგნერიდან“ დაწყებული განუწყვეტლივ წარმოქმნის ღვთაებრივს, მალარმე უპირისპირებს ერთადერთ იგავს, რომელიც ეხება მზის დრამის არქეტიპს, „ყველა დროის და ყველა ადგილის ხელუხლებელ იგავს“ და ეს იგავი სხვა არაფერია, თუ არა პოეზია, ნაოცნებარი, როგორც მითოლოგიის თანამედროვე ფორმა, როგორც აბსტრაქტული მითოლოგია. სწორედ ასეთი, „ნაოცნებარი პოეზია“ ა. რემბოს პოეტური პროზა „გასხივოსნება“, რომელიც ერთდროულად ვაგნერის მითოლოგიურ სიმბოლიზმსაც მოგვაგონებს და ამავე დროს მალარმესეულ აბსტრაქტულ მითოლოგიასაც.

ETER INTSKIRVELI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature


Functional and Structural Analysis of the Fokllore Model of Transformation

Transformation theme is especially variously manifested in folklore. The metamorphosis of the fairy tales personages is a natural event even in the modern epoch.

Transformation in folklore is expressed in two forms - spiritual and physical. Physical transformation process is defined by the return to starting point. The physical metamorphosis of the hero (mainly zoomorphic) is the earlier period of the divine transfiguration of the metamorphically dying and resurrecting holy: hero that is the antropomorphic face of the holy must go through the all features of the holy (he must be transformed into a tree, animal, fish, bird), all it is based on the totemism perception.

The higher level of physical metamorphosis in tales is the ability of levitation of sacred heroes: Glakhua Megrelauri flight with cross till the break of fast and dead Iobi's body that was taken to heaven by the angels depicts the transformation of the heroes.

Spiritual metamorphosis is a significant phenomenon in folklore, it is considered to be the late manifestation of the transformation model, in folklore it is set artificially, objective link is with the spiritual transformation of the hero, spiritual metamorphosis is the incentive of the situation. Research of the Georgian folk texts show that the existence of the opposite structures in the texts ensures the wholeness of the folklore plot:



The formula that depicts the metamorphosis of hero stands for : **f_{xa}** is the negative starting point of hero, **f_{yb}** – is the positive hero, opposing the negative one. Circle is the act of selfascertainment, it is the obligatory reason for spiritual transformation, and in the end hero has oppose **y** fuction not in **a-** position, but in **A-** transformation. The function of oppose face is to help the hero to be spiritually transformed, it is linked with society’s spiritual, intellectual and moral transformaton as well.

ეთერ ინსპირველი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ტრანსფორმაციის ფოლკლორული მოდელის ფუნქციონალურ-სტრუქტურული ანალიზი


ტრანსფორმაციის თემა ფოლკლორში განსაკუთრებით მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი. ზღაპრებსა თუ ანდრეზებში გადმოცემული პერსონაჟის მეტამორფოზა იმდენად ორგანული მოვლენაა, რომ სრულიად ბუნებრივად აღიქმება თანამედროვე ეპოქაშიც კი.

ფოლკლორში ტრანსფორმაციის ორივე ფორმა გვხვდება – ფიზიკურიც და სულიერიც. ფიზიკური ტრანსფორმაციის ფუნქციონალურ დანიშნულებად გარდასახვათა გავლით სანყის მდგომარეობაში დაბრუნება განისაზღვრება. გმირის ფიზიკური მეტამორფოზა (ძირითადად ზოომორფული) შედარებით ადრეული საფეხურია და მეტაფორულად მომაკვდავი და აღმდგომი ღვთაების გარდასახვებს უკავშირდება: გმირი, რომელიც ღვთაების ანთროპომორფულ სახეს წარმოადგენს, ვალდებულია, გაიაროს ამ ღვთაების არსებობის ყველა სახე და ფორმა (იქცეს ხედ, ცხოველად, თევზად, ფრინველად...), რაც ასევე გარკვეული ტოტემური წარმოდგენებით არის ნაკარნახევი.

ფიზიკური მეტამორფოზის შედარებით მაღალი საფეხურია ანდრეზებში ლეგენდური მკადრეებისთვის ლევიტაციის უნარის მინიჭება: გრავიტაციის ძალას დამორჩილებული ჯვრის მკადრე – გახუა მეგრელაურის ფრენა ჯვართან ერთად მარხვის გატეხვამდე და ანგელო-

ზების მიერ მკვდარი იობის სხეულის ზეცაში წაღება მათ ტრანსფორმაციას გამოხატავს.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ფოლკლორში სულიერ მეტამორფოზას, რაც, ვფიქრობთ, შედარებით გვიანდელი ფორმა უნდა იყოს. ხალხური ლოგიკისთვის ნებისმიერ სიტუაციებს შორის აუცილებელი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ობიექტური ბმა, ტექსტში დარეგულირებულია ხელოვნურად შექმნილი დაპირისპირებული სახით, რომელიც გმირის მამხილებელ ფუნქციას ატარებს და გმირის სულიერი მეტამორფოზის ერთგვარ სტიმულს წარმოადგენს. არაერთი ქართული ხალხური ტექსტის ანალიზმა აჩვენა, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით დაპირისპირებული სახის ფუნქციის არსებობა ფოლკლორული ტექსტის სიუჟეტის მთლიანობას უზრუნველყოფს:



ფორმულა, რომელიც გმირის მეტამორფოზას გამოხატავს, ამგვარად იმიფრება: **f_{x_a}** არის გმირის საწყისი უარყოფითი მდგომარეობა, **f_{y_b}** – დადებითი ფუნქციით აღჭურვილი დაპირისპირებული სახე. წრით აღინიშნება თვითჩაღრმავება, როგორც აუცილებელი პირობა სულიერი ტრანსფორმაციისთვის, ხოლო ფინალში მოცემული ტრანსფორმირებული გმირი აღჭურვილია დაპირისპირებული სახის **y** ფუნქციით არა ყოფილ **a**-სახეში, არამედ **A**-ს სახით. დაპირისპირებული სახის ფუნქციაა, დაეხმაროს გმირს სულიერ გარდასახვაში, რაც მეტაფორულად დაკავშირებულია საზოგადოების/სამყაროს სულიერ, ინტელექტუალურ და მორალურ ტრანსფორმაციასთან.

VIRGINJA JAKIMENKO

Lithuania, Vilnius

Mykolas Romeris University

Are Mythological Worlds the Logically Probable Ones?

According to Cl. Levi-Strauss the logics of mythical and scientific thinking worlds are the same. The Logics of a myth advances at the same time on several levels that interact and rationalize each other. Here the possibilities for evaluation of the rationality of a myth are discussed using the integration at conceptual synthesis level (the transfer of definitions through sciences) as the main method of analysis.

The rationality is one of the most valuable qualities of nowadays society. Therefore we conducted an analysis of how the mismatch of myth events with

common reality rules is being interpreted by the society. Can the methods of analytical thinking created by nowadays formal logic be applied to the prevailing logic of entire mankind that is most conspicuous in the mythology?

ВИРГИНИЯ ЯКИМЕНКО

Литва, Вильнюс

Университет им. Миколаса Ромериса

О логической возможности мифических миров

В докладе рассматриваются возможности измерения рациональности мифа. Клод Леви-Стросс считал, что логика мифа и логика научного мышления едины. Логический дискурс мифа раскрывается одновременно на различных взаимопроникающих и взаимообъясняющих друг друга уровнях. В докладе обсуждается восприятие особенностей мифического мира в современном обществе, в котором рациональность стала важнейшей ценностью. Также анализируется возможность применения методов логического анализа мышления в сфере той общечеловеческой логики, которая проступает в первобытной мифологии. Используемая методология: интеграция на уровне концептуального синтеза.

DAVID JACQUES

UK, Cambridge

Cambridge University

**Time and time again: new insight into the significance of
Vespasian's Camp in the Stonehenge landscape**

Recent discoveries close to Stonehenge suggest that a unique site has been discovered which contains evidence of the place being a centre for ritual activities from the late British Mesolithic (6500-4000BC) through to the Middle Ages (1200-1550 AD). The sites relationship to water, especially springs, appears to have been central to it being a 'special place' for so long and a study of myths relating to water has revealed evidence for Goddess worship at the site, in many guises, for at least 3 millenia.

This paper will argue that closer attention to artefactual evidence, particularly lithic material, has the potential to reveal a more detailed understanding of ritual practices, especially in the prehistoric periods, and that reducing analysis of artefacts down to culture-function debates has stagnated discussion.

The study of stone sources and the use of animal materials has revealed social understandings that appear to have been central to the technical and ritual networks of the times and these will be outlined and discussed.

This paper will also use the discovery of the site as a prompt to a broader discussion on the mechanics of finding archaeological sites and places of ritual. This site has been ignored by archaeologists until now, which is strange as it is close to Stonehenge and a central part of the World Heritage Site, but research agendas have been affected by issues such as class, access to the site and interpretations of the Stonehenge landscape being restricted to a very small number of university teams. Our discovery of the oldest settlement ever found at Stonehenge (C14 date puts it around 6250BC), as well as the one with evidence for the longest continuity of ritual activity, suggests that there has been a research 'blind spot' and one that isn't unique to this site.

MAIA JALIASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Aspects of the Poetics of Myth According to Georgian Modernist Novel

Georgian modernists pay special attention to the Myth. Grigol Robakidze ("Snake skin"), Demna Shengelaia ("Sanavardo"), Konstantine Gamsakhurdia ("Dionysus smile") use different mythes, in particular, Georgian, Greek, Shumerian to give depth to the artistic system of the work. The writers describe dimensions of myth and reality in such a way, that the reader participates in both the world and understand regularities of life. One or another aspect of the myth is shown in the novels. All three modernist writers present different artistic interpretations of mythical symbols. Writers by the way of myth will emerge from real-time and rich eternal laws of the universe. Myth is described as a part of life in these novels. This life is interpreted not only as the specific man, but humanity. That is why it is such a real sense of the different myth. Heroes of the Georgian modernist novel express different attitudes to myth: 1. Myth expresses the fact that personage has certain knowledge about myth, recall the heroes of myth. 2. Myth is referred as a text, quotations from may be bring. Some episode of the novel or individual behavior resembles the heroes of myth. But this resemblance sometimes is profound, sometimes is surface. 3. World of myth is some kind of model of the hero's life. 4. The character of the novel can watch and feel world like a hero of myth. extasy often is the situation in which the hero carries out the contact with the world. 5. Often hero or event of the

novel is described as a symbol of human passion. 6. Myths revealed as invasion prehistory world in the the reality in the modernist novel. The main characters in this novel is seeking ideals and myth helps them to Achieve their goal.

მანია ჯალიაშვილი

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მითის პოეტიკის ასპექტები ქართულ მოდერნისტულ რომანში

ქართულ მოდერნისტულ რომანში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მითს. დემნა შენგელაიას „სანავარდოსა“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგსა“ და კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“ მითი (ბერძნული, ქართული, შუამდინარული) მოხმობილია ტექსტის მხატვრული და აზრობრივი შრეების გასალრმავებლად, სახეების განსაზოგადებლად. ამ რომანებში მითი ხშირად ასოციაციებით, რემინისცენციებითა და მინიშნებებითაა წარმოდგენილი. მწერლები მითოსურ და რეალურ სიბრტყეებს ერთმანეთს უნაცვლებენ და მკითხველს საშუალებას აძლევენ, რეალურ ფაქტებსა და მოვლენებში სამყაროსა და სულის უნივერსალური კანონები ამოიკითხონ. სამივე მოდერნისტ მწერალთან განსხვავებულადაა წარმოდგენილი მითოსის სახეთა მხატვრული ინტერპრეტაციები, მაგრამ საერთოა ის, რომ მათი საშუალებით ხდება პროფანული დროის გარღვევა და მარადისობასთან ზიარება.

მოდერნისტულ ტექსტში სამყაროს მთლიანობა სულ სხვანაირად წარმოჩნდა. აქ ერთ სიბრტყეზე მოექცა მითი, ისტორია, კულტურა და მხატვრული სისტემა სწორედ ამ სიბრტყეზე პროეცირდა. მითი ამ რომანებში წარმოჩენილია, როგორც სიცოცხლის ნაწილი. ეს სიცოცხლე კი გააზრებულია არა მხოლოდ როგორც კონკრეტული კაცისა, არამედ კაცობრიობისა. ამიტომაც არის ასეთი ხელშესახება დიონისესა თუ იშთარის მითის განცდა.

მითოსისადმი დამოკიდებულებას ქართული მოდერნისტული რომანის გმირები სხვადასხვანაირად ავლენენ: 1. მითი წარმოდგენილია, როგორც გმირის გარკვეული ცოდნის დასტური. 2. მითი მოიხმობა, როგორც ტექსტი, საიდანაც შეიძლება ციტატების გამოყენება. რომანის გმირთა ცხოვრების გარკვეული ეპიზოდები მიემსგავსება ცნობილი მითის გმირისას. ოღონდ ეს „მიმსგავსება“ ხან ეზოთერულია და ხან ეგზოთერული 3. მითის „მაკრომოდელში“ ირეკლება გმირის ცხოვრების „მიკროსამყარო“. 4. რომანის გმირი სამყაროს ისევე განიცდის, როგორც მითის პერსონაჟი, ე. ი. ლალად, გახსნილად, პირისპირ უმზერს საგანთა და მოვლენათა შუაგულს, გზნებს ნოუმენს. ხშირად

ამგვარი „კონტაქტი“ სამყაროსთან ხორციელდება ექსტაზისას. 5. ხშირად რომანში მითის მოვლენა ან მითის გმირი წარმოჩნდება, როგორც სიმბოლო გარკვეული ვნებისა. 6. მითი ქართულ მოდერნისტულ რომანში ვლინდება, როგორც პირველყოფილი სამყაროს შემოჭრა რეალობაში.

სამსავე რომანში გმირებს ნებისმიერი იდეალის ძიებისას მითის წყურვილი თან დაჰყვებათ, რადგან არსად არ არის „ის“, რისი მოპოვებაც სურთ, ანუ შერწყმა სამყაროსთან.

ELISO KALANDARISHVILI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Peculiarities of Biblical Paradigmatics and Tropology in Vazha-Pshavela's Creativity

Biblical tropology is a starting point in literary and mental experience of every Christian people. Strive for the universality gives rise to such system of images and symbols that regards the world in unity, wholeness and not as separate fragments, secularly. There are formed certain archetypical models which, on the one hand, are strictly regulated but open and invariant, on the other hand. It is this synthesis that forms their world outlook and aesthetic nature. On the basis of antinomic connection of the unknown and known, steady and unsteady, inexhaustible and exhaustible, eternal and terminal there will be germinated perception of the world with the same vision, direction which announces theosis as the supreme principle in the world. An individual subordinated to the Supreme must return to the proto-origin, first created, ideal harmony is to be restored in him.

Biblical tropology is a determining factor not only for medieval world outlook but for all subsequent literary processes. It gradually becomes the law of thinking. It is true, in modern age purposeful intensity of the consciousness changes but the forms of biblical expression whether by authentic or transformed means undoubtedly determine the course of literary and mental process in each genre.

Archetypal and paradigmatic thinking is the base of Georgian religious and secular writing. Mythological and sacred symbolism determines conceptual characteristics, cognitive aspect, and aesthetic credo. Medieval rule of Georgian system of thought is clearly manifested in philosophic perception of the world and artistic-aesthetic credo of the epoch – 19th-21st centuries.

The peculiarities of expression world outlook in Vazha-Pshavela's creative works can be explained by organic linkage with the depths of archetypal-paradigmatics of biblical tropology namely. At the same time specific feature is that classical forms of personification here are merged with archetypal models of mythological, pre-Christian beliefs which give birth to totally new vision and mark the beginning of unusual aesthetics of merging the universal and ideal with individual. Vazha's world is a new unknown "chronotope" in which finiteness, vectorness and circulation, the underworld are implied; timelessness and spacelessness merge with localism and gravitation. The action area of this free chronotope is first of all the depths of man's soul.

ელისო კალანდარიშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ბიბლიური პარადიგმატიკისა და სახისმეტყველების თავისებურებანი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

ბიბლიური სახისმეტყველება ამოსავალია ყოველი ქრისტიანი ერის ლიტერატურულ-სააზროვნო გამოცდილებისა. უნივერსალობისადმი სწრაფვა წარმოშობს სახე-სიმბოლოთა ისეთ სისტემას, რომელიც სამყაროს ერთიანობაში, მთლიანობაში მოიაზრებს და არა დანაწევრებულად, სეკულარულად. იქმნება გარკვეული არქეტიპული მოდელები, რომლებიც, ერთი მხრივ, მკაცრად რეგლამენტირებულია, თუმცა, მეორე მხრივ, ღია და ინვარიანტული. სწორედ ეს სინთეზი აყალიბებს მათ მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ ბუნებას. შეუცნობლისა და შეცნობილის, მდგრადისა და მედინის, ამოუნურავისა და ამონურვადის, წარუვალისა და სასრულის ანტინომიური შეერთების საფუძველზე აღმოცენდება ერთნაირი ხედვის, მიმართულების მქონე მსოფლგანცდა, რომელიც სამყაროში უზენაეს პრინციპად განღმრთობას, თეოზისს აცხადებს. უზენაესს დამორჩილებული სუბსტანტი უნდა დაუბრუნდეს პირველსაწყისებს, მასში უნდა აღდგეს პირველქმნილი, იდეალური ჰარმონია.

